ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა ◆ ივნისი/2020

№4 (54)

დენდროლოგიური პარკი

შეკვეთიღში, უნიკალური დენდჩოღოგიური პარკი ბიძინა ივანიშვიღის ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა.

60 ჰექტარზე გაშენებულ პარკში თავმოყრილია ჩოგორც ენდემური, ისე ჩამოტანილი საუკუნოვანი გიგანტური ხეები და უნიკალური ჯიშის მცენარეები, ეგზოტიკური ცხოველებისა და ფრინველების 57 სახეობა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან.

დენდჩოღოგიური პარკი ივღისში გაიხსნება.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები

ანტიკრიზისული გეგმა — გვ 2-3

- 2020 წელი მთელი მსოფლიოსთვის სრულიად მოულოდნელად ახალი გამოწვევებით დაიწყო. ჩინეთიდან მთელ მსოფლიოს მოედო უცნობი დაავადება - ახალი ვირუსი, რომელიც კოვიდ19-ით გახდა ცნობილი. სულ მალე, დაავადებამ ისეთი სახე მიიღო, რომ შეაშფოთა მთელი მსოფლიო და სულ მალე პანდემიად შეფასდა

რეგიონი — გვ 4

- საქართველოს მთავრობა სოფლისა და ფერმერების მხარდაჭერას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აცხადებს. პრემიერ-მინისტრი კახეთში ანტიკრიზისულ გეგმაზე ინფორმაციას ფერმერებს თავად აწვდის

ინტერვიუ მინისტრთან — გვ 5-6

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი: „ჩვენ გვექნება ძალიან ბევრი ქმედითი პროგრამა, რომელიც სტრატეგიულ მიზნებს უფრო ეფექტიანად უპასუხებს და მოქნილი იქნება იმ კონკრეტული გამოწვევების პირობებშიც, რომელიც პანდემიამ შექმნა“

ტყის კოდექსი — გვ 6

- საქართველოს პარლამენტმა, მესამე მოსმენით „ტყის კოდექსის” კანონპროექტი დაამტკიცა

საქართველოს ტყე — გვ 7

- ლევან დავითაშვილი: „ჩვენი გარემო არის ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება“

ახალი ამბები — გვ 8-11

- პანდემიის გამო ევროპაში ღვინის დარგში შექმნილი ვითარება ლევან დავითაშვილმა და იტალიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კვების და სატყეო პოლიტიკის მინისტრმა, ტერეზა ბელანოვამ განიხილეს.
- ქვემო ქართლში ახალი სამაცივრე მეურნეობა გაიხსნა
- მთავრობის სხდომაზე, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ფორმატში მომზადებული ტექნიკური რეგლამენტი მიიღეს
- ფერმერთა მხარდასაჭერად, 3.2 მილიონი ლარის მოცულობის საგრანტო პროგრამა იწყება
- საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში „საქმიანი ეზო“ მოეწყობა
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან არხის 1000 მეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა
- გერმანიის ელჩმა საქართველოში, ჰუბერტ ქნირშმა, ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ სატყეო სამსახურებს და გზდ-ს დამცავი აღჭურვილობა გადასცა
- ატმის ორგანიზებულად რეალიზაციისთვის, სამუშაოები მიმდინარეობს
- ფერმერებს თესლის ხარისხის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია მოემსახურება

ქართული ღვინო — გვ 12

- ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები 24-მდე გაიზარდა

ვაზის ჯიშები — გვ 13

- ალექსანდროული
- კრახუნა თეთრი
- ჩინური
- ჩხავერი

აგროორჩევა — გვ 14-15

- ქლიავის ბაღის გაშენება

ახალი ამბები — გვ 16

- სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის პროგრამებით ფერმერები შეუფერხებლად სარგებლობენ

სეს — სურსათის ეროვნული სააგენტო — ის, რაც ფერმერმა უნდა იცოდეს

- 7 ივნისი მსოფლიო სურსათის უვნებლობის დღეა

2020 წელი მთელი მსოფლიოსთვის სრულიად მოულოდნელად ახალი გამოწვევებით დაიწყო. ჩინეთიდან მთელს მსოფლიოს მოედო უცნობი დაავადება - ახალი ვირუსი, რომელიც კოვიდ19-ით გახდა ცნობილი. სულ მალე, დაავადებამ ისეთი სახე მიიღო, რომ შეაშფოთა მთელი მსოფლიო და სულ მალე პანდემიად შეფასდა.

ამ ახალმა გამოწვევამ უდიდესი კრიზისის რისკის წინაშე დააყენა არათუ საქართველო, არამედ მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც. სრულიად მოიშალა ყველაზე უფრო მოწინავე ჯანდაცვის სისტემები, რომლებიც უძლური აღმოჩნდნენ ამ ახალი დაავადების წინაშე. ყველამ ვნახეთ დაცარიელებული ევროპის და ამერიკის უდიდესი ქალაქები, ქუჩები, გაჩერებული უზარმაზარი საწარმოები, მოშლილი ეკონომიკა და სახლში გამოკეტილი ასეულობით მილიონი ადამიანი. ამ დიდი განსაცდელისგან საქართველო მთავრობის ეფექტიანმა მუშაობამ და ჩვენი მოქალაქეების პასუხისმგებლიანმა მიდგომამ გადაარჩინა.

ასეთ ვითარებაში, საჭირო გახდა სწრაფი მოქმედებები და რეაგირება იმისათვის, რომ საქართველოს შესძლებოდა მაქსიმალურად ნაკლები დანაკარგებით გამოსულიყო შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან. ბრძოლა დაიწყო ორი მიმართულებით - პირველი, რაც აუცილებელი იყო სრული კოლაფსის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო ჯანდაცვის სისტემის მომზადება, რათა გადარჩენილიყო ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. შემდეგი და არანაკლები მნიშვნელობის ამოცანა იყო ეკონომიკის გადარჩენა, რაც ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის.

მთავრობის დროულმა და ზუსტად გათვლილმა ნაბიჯებმა ქვეყანას თავიდან ააცილა ვირუსის გავრცელების სწრაფი და უკონტროლო ზრდა. საქართველოს მთავრობამ პანდემიასთან ბრძოლა თითქმის 1 თვით ადრე დაიწყო, ვიდრე პირველი შემთხვევა დაფიქსირდებოდა, მაქსიმალურად გაამკაცრა ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, ეტაპობრივად ჩაკეტა საზღვრები, აკრძალა ფრენები განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან, სადაც ვირუსი ყველაზე მეტად მძვინვარებდა. დროულად დაიხურა სკოლები, ბაღები, უმაღლესი სასწავლებლები, გაჩერდა ყველა სახის ტრანსპორტი, დაიწყო ახალი შემთხვევების გამოვლენა, მკურნალობა, მოქალაქეების იზოლირება, კარანტინი. მიუხედავად გატარებული ფრთხილი და მოზომილი ნაბიჯებისა, რათა, რაც შეიძლება ნაკლები დარტყმის ქვეშ დამდგარიყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, აუცილებელი გახდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. მთავრობის მხრიდან დაწესებულმა შეზღუდვებმა და დროულმა, ადეკვატურმა რეაგირებამ სხვადასხვა მიმართულებით, ჩვენს ქვეყანას თავიდან ააცილა ჯანდაცვის სისტემის კოლაფსი და ათასობით დაინფიცირებული ჩვენი მოქალაქე. სწორედ ასეთმა ეფექტიანმა პოლიტიკამ განაპირობა ვირუსის უპრეცედენტოდ დაბალი გავრცელება და ნაკლები ადამიანური დანაკარგები.

როგორც კი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კონტროლს დაექვემდებარა და დაიწყო ყოველდღიური შემთხვევების კლება, მთავრობამ მაშინვე მიიღო შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის გადაწყვეტილება და დღეს, იმის გათვალისწინებით, რომ ვირუსი არსად არ გამქრალა, სახეზეა მხოლოდ მინიმალური შეზღუდვები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად.

კორონავირუსის პანდემიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, ვერც საქართველო გადაურჩა ამ კრიზისს. ეს შეეხოთ როგორც მეწარმეებს, ისე მოქალაქეებს. შესაბამისად, როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება, რისთვისაც მობილიზებული იქნა 3 მლრდ ლარი.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პანდემიის პირობებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან გაზრდილი დაფინანსება მიიღო, ასევე შესაძლებელი გახდა სხვა დონორებისგანაც ფულადი რესურსების მოზიდვა. შედეგად, ჯამში მთავრობამ მოიზიდა 1.5 მლრდ აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარება. გარდა ამისა, 1.5 მლრდ აშშ დოლარის ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი გახდა კერძო სექტორისთვის.

მთავარი, რაც ხაზგასასმელია, საქართველოს მთავრობის ამოსავალი პრინციპი იყო ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის შემცირებას შორის. შესაბამისად, არსებული შეზღუდული რესურსებით მოხდება რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მხარდაჭერა, რათა სახელმწიფოს დახმარება შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველამ, ვინც პანდემიის შედეგად დაზარალდა.

სახელმწიფომ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც 2 ეტაპად მიმდინარეობს.

დღეისათვის, 170 მლნ ლარია დახარჯული 1.2 მილიონზე მეტი ელექტროენერგიისა (დასუფთავებისა და წყლის გადასახადიც) და 670 ათასზე მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის კომუნალურ გადასახადებში. ასევე, სახელმწიფომ დააზღვია, რომ არ მომხდარიყო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე.

სახელმწიფოს დახმარებით, 600 000-მდე მსესხებელს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცა, რაც ძალიან დიდი შეღავათია ჩვენი მოქალაქეებისათვის.

ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპი ითვალისწინებს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას მოქალაქეების სხვადასხვა კატეგორიებისთვის. დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, დახმარების სახით მიიღებენ 1200 ლარს 6 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარს. დახმარებით სარგებლობა შეეძლება დაახლოებით 350 000 მოქალაქეს. პროგრამის ბიუჯეტი 450 მლნ ლარამდეა.

სხვადასხვა კატეგორიის თვითდასაქმებულები მიიღებენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარს. პირების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნება მოქალაქის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ ეპიდემიამდე აღნიშნულ მოქალაქეს ჰქონდა შემოსავალი. ეს დაფინანსდება 75 მლნ ლარით.

სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, დამსაქმებელი მიიღებს საგადასახადო შეღავათს - 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან, რაც დაფინანსდება 250 მლნ ლარით.

ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000 ქულის ჩათვლითაა - თითო ოჯახზე მიიღებენ საშუალოდ 600-ლარიან დახმარებას, 6 თვეში. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ოჯახები იღებენ მხოლოდ 16 წლამდე ბავშვებზე არსებულ სოციალურ დახმარებას. ბენეფიციართა რაოდენობა 190 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (70 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 50 მლნ ლარი.

ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000 ქულის ფარგლებშია და ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი, მიიღებენ ოჯახზე საშუალოდ ჯამურ 600-ლარიან დახმარებას, 6 თვეში. ბენეფიციართა რაოდენობა 130 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (22 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 13 მლნ ლარი.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე შშმ ბავშვები მიიღებენ ჯამურ 600-ლარიან დახმარებას, 6 თვეში. ბენეფიციართა რაოდენობა 40 ათასამდე ფიზიკური პირია, ხოლო ბიუჯეტი - 25 მლნ ლარი.

უდიდესი გამოწვევის მიუხედავად,მთავრობა წელსვე დგამს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს - 1 იანვრიდან პენსია უკვე 20 ლარით გაეზარდა ყველა პენსიონერს. ასევე, 1 ივლისიდან, 70 წელს გადაცილებულ ყველა (410 000) პენსიონერს, პენსია გაეზრდება 30 ლარით.

გარდა ამისა, გადავდივართ პენსიების ზრდის ყოველწლიურ მოდელზე, რაც გულისხმობს მის ინდექსაციას ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80%.

მიუხედავად პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის - 25 ლარზე ნაკლები.

საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელზეც ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის 39% მოდის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პანდემიის

გამოწვევების გასამკლავებლად დარგის სახელმწიფო მხარდაჭერა.

პანდემიის საპასუხოდ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგამში გაწერილია ფერმერების დახმარების უპრეცედენტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის გათვალისწინებულია ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. მთავრობამ მოახდინა 300 მლნ ლარის ღირებულების მხარდაჭერის პაკეტის ფორმირება, რათა პანდემიით შექმნილ კრიზისულ ვითარებაში სოფლის მეურნეობაში ჩართულმა თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს სახელმწიფოსაგან დახმარება. მობილიზებულია 37 მლნ ლარი, რითაც ფერმერები შეიძენენ სასუქებს, მცენარეთა დაცვისა და მოვლის საშუალებებს, სათესლე და სარგავ მასალებს, გადაიხდიან ხვნის სამუშაოების საფასურს. იწყება ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით). პროექტის ფარგლებში, არა უმეტეს 10 ჰექტრისა, ერთიანი მიწის ნაკვეთებისთვის სუბსიდია შეადგენს მაქსიმუმ 2000 ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200.000-მდე ფერმერი, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი 37 მლნ ლარია. სახელმწიფო ეხმარება იმ პირებს, ვინც ფლობს 0.25-10.0ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწას და მისი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ან დაარეგისტრირებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები დიზელის საწვავს იყიდიან შეღავათიან ფასად, ხოლო საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. აღნიშნული შეღავათით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი, რომლებსაც 40 მლნ ლარამდე თანხა დაეზოგებათ. ფერმერებს სრულად ჩამოეწერებათ 8 მლნ ლარის ოდენობის ის დავალიანებები, რომლებიც სამელიორაციო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო, 2012-2019 წლებში დაუგროვდათ. მიმდინარე წელს, ფერმერების მიერ სამელიორაციო მომსახურების 1 ჰექტარზე 75 ლარამდე საფასურს სახელმწიფო გადაიხდის - ჯამში 5 მლნ ლარს. ვინაიდან კრიზისული ვითარების დროს რთულდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ფერმერებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით „შეღავათიანი აგროკრედიტის“ სახელმწიფო პროგრამას დაემატა შემდეგი ახალი კომპონენტები:

მემცენარეობის საბრუნავი საშუალებების დაფინანსების მიზნით დაიწყება სესხების გაცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში კი - წლიური 17%-ის მოცულობით. პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50 მლნ ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4.5 მლნ ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს 5.000 პოტენციურ ბენეფიციარს.

ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი. არსებული წლიური 8%-ის ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს დაუფინანსებს 11%-ს 48 თვის განმავლობაში. იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც - ნაცვლად არსებული 9%-ისა, იქნება 12%. ძირითადი საშუალებების კომპონენტსა და მის ყველა ქვეკომპონენტში იზრდება ბანკებისთვის დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი - ნაცვლად 15%-ისა, იქნება 18%. ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25 მლნ ლარი. 2 წლის განმავლობაში წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო ჯამური თანხაა 4 მლნ ლარი.

შეიქმნა მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი ხორცის წარმოების მიმართულების, მეცხოველეობისა და მეთხილეობისთვის საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემულ სესხებზე. კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სახელმწიფოს მიერ, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში.

იწყება სასურსათო მრეწველობის დაფინანსება. სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სახელმწიფო მოახდენს წლიური 10%-ის მოცულობით, 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 12% იქნება 24 თვის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 20 მლნ ლარი. 0.5 მლნ ლარის ბიუჯეტის ოდენობით ანაზღაურდება მეორადი უზრუნველყოფის ფარგლებში.

პირველადი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, განახლდება „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას, ასევე ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან/და არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენას. სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არა უმეტეს 50.000 ლარისა. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10 მლნ ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

იწყება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართათვის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი ქართული აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას. პროგრამის ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით.

აგროდაზღვევის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, პროგრამა სამწლიანი გახდა. შესაბამისად, მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საკუთარი მოსავალი 3 კალენდარული წლის განმავლობაში. სადაზღვევო პოლისი ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორიცაა: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი შეადგენს 9 მლნ ლარს. მიმდინარე წელს იგეგმება 15,000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისის გაცემა და 12,000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზღვევა.

იწყება „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. ინიციატივის მიზანია დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბება და განვითარება შესაბამისი ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სოფლად რძის მცირე წარმოების განვითარების ხელშეწყობა - ახალი სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა. დაფინანსება განხორციელდება პროექტის ღირებულების 40%-დან 80%-მდე თანადაფინანსებით, ხოლო თანხობრივი ლიმიტები მერყეობს 8000 ლარიდან 195 000 ლარამდე. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 42 მლნ ლარს.

პრიორიტეტული ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. ამოქმედდა პროგრამა, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ აღჭურვილობა, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია დამზადდება ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით. პროგრამა ასევე დაეხმარება კოოპერატივებს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის ბრენდირების მიმართულებითაც.

სოფლის ბაზრისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაჩქარდება მიწის სისტემური რეგისტრაცია - 2020-2022 წლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოხდება 1.2 მლნ მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია.

დაბოლოს, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთავრობა ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, მათ სოციალურ მხარდაჭერაზე, მეწარმეების დახმარებასა და ეკონომიკის ხელშეწყობაზე.

ასეთი მიდგომით, საქართველო COVID-19-თან ბრძოლის კუთხით ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია, რასაც მრავალი საერთაშორისო შეფასებაც ადასტურებს. თუმცა, დღეს არსებული მდგომარეობით და ექსპერტთა შეფასებით, დიდია ვირუსის შემოტევის, ე.წ. მეორე ტალღის ალბათობა. ამიტომ, საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა იმ დადებითი შედეგების შენარჩუნება, რაც გვაქვს, რათა შეზღუდვების შემსუბუქებამ არ გამოიწვიოს ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა ქვეყანაში. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების მხრიდან რეკომენდაციების შესრულება და წესების ზედმიწევნით დაცვა.

საქართველოს მთავრობა მადლობას უხდის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თანამშრომლობისთვის, მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისათვის და იტოვებს იმედს, რომ მითითებებისა და რეკომენდაციების შესრულებით, ქვეყანა მომავალშიც ღირსეულად გაუმკლავდება ამ გამოწვევას და თავიდან აიცილებს ვირუსის შესაძლო გავრცელების საფრთხეს.

საქართველოს მთავრობა სოფლისა და ფერმერების მხარდაჭერას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აცხადებს. პრემიერ-მინისტრი კახეთში ანტიკრიზისულ გეგმაზე ინფორმაციას ფერმერებს თავად აწვდის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ლევან დავითაშვილთან ერთად, კახეთის რეგიონში ჩავიდა.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმით გათვალისწინებულ შეღავათებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ყვარელში, ხილის გადამამუშავებელი საწარმოს Georgia's Natural-ის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს ესაუბრა.

პრემიერ-მინისტრმა შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმო, რომელიც ორგანულ პროდუქციას ამუშავებს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ლევან დავითაშვილთან და კახეთის გუბერნატორთან, ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად, დაათვალიერა და საწარმოო პროცესს გაეცნო.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული პროგრამები პირდაპირი დახმარების გარდა, აგრარულ სექტორს საშუალებას აძლევს, პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, წვდომა ჰქონდეს ფინანსურ რესურსზე, რაც მეურნეობის გაფართოებასა და განვითარებაში დაეხმარება.

გიორგი გახარიას თქმით, ყვარელში მოქმედი ხილის გადამამუშავებელი საწარმო კარგი მაგალითია, როგორ შეიძლება სახელმწიფო პროგრამების გამოყენება მაღალი სტანდარტის და ხარისხის პროდუქციის წარმოებისთვის, რაც კონკურენტუნარიანობის გაზრდის და მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ადგილის დამკვიდრების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საწარმოში Georgia's Natural, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების შედეგად წვენებს, სოუსებს, კონსერვებსა და გაყინულ ხილს აწარმოებს, 40 ადამიანია დასაქმებული. განხორციელებული ინვესტიციის სრული მოცულობა 2 582 265 ლარია.

გიორგი გახარია - სოფლის მეურნეობის განვითარებაში, დიდი როლი აქვს მცირე მეწარმეობის განვითარებას, რაშიც ჩვენს ფერმერებს სახელმწიფო მაქსიმალურად გვერდში დაუდგება

ამ მარწყვის პლანტაციის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მცირე ინვესტიციითაც კი შესაძლებელია, ძალიან მომგებიანი აგროწარმოების წამოწყება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ყვარელში განაცხადა, სადაც მარწყვის მცირე პლანტაცია დაათვალიერა.

ნახევარ ჰექტარზე გაშენებული პლანტაცია, რომელიც 5 ათასი ლარის ინვესტიციით შეიქმნა, 1 800 კგ-მდე მოსავალს იძლევა, რომლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება.

გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ მსგავსი წამოწყებებით შესაძლებელია ხარისხიანი ადგილობრივი წარმოების სურსათით ბაზრის მომარაგება და ამისთვის საჭიროა, მაქსიმალურად ბევრი ადამიანი დაინტერესდეს და ჩაერთოს სოფლის მეურნეობაში.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში, ძალიან დიდი როლი აქვს მცირე მეწარმეობის განვითარებასაც, რაშიც ფერმერებსა და მეწარმეებს სახელმწიფო მაქსიმალურად გვერდში დაუდგება.

გახემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი: „ჩვენ გვექნება ძალიან ბევრი ქმედითი პროგრამა, რომელიც სტრატეგიულ მიზნებს უფრო ეფექტიანად უპასუხებს და მოქნილი იქნება იმ კონკრეტული გამოწვევების პირობებშიც, რომელიც პანდემიამ შექმნა“.

- გახდება თუ არა სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა და რა დაგვანახა პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ?

საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი სოფლის მეურნეობაზე მოდის. ბევრ ქვეყანაში მას სიცოცხლის ჯაჭვი უწოდეს, რადგან ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისა და ფიზიკური არსებობისთვის მნიშვნელოვანია. პანდემიის პირობებში, ჩვენ განსაკუთრებული აქცენტი აგროსასურსათო ჯაჭვის ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობაზე გავაკეთეთ. მიუხედავად ბევრი სირთულისა და მობილობის შეზღუდვისა, ჩვენი მოსახლეობისთვის სურსათის მიწოდება არ შეფერხებულა. ასევე არ შეჩერებულა ფერმერული საქმიანობა. პოსტპანდემიის პირობებში, აგროსასურსათო სექტორი ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს დაიკავებს.

- ანტიკრიზისული გეგმა ორ ნაწილს გულისხმობს - სოციალურ და ბიზნესის მხარდაჭერას. საინტერესოა თქვენი მოსაზრება ორივე კომპონენტის შესახებ.

ჩვენ გვექნება ძალიან ბევრი ქმედითი პროგრამა, რომელიც, ზოგადად, სტრატეგიულ მიზნებს უფრო ეფექტიანად უპასუხებს და მოქნილი იქნება იმ კონკრეტული გამოწვევების პირობებშიც, რომელიც პანდემიამ შექმნა. ორი მნიშვნელოვანი მიმართულებისგან შედგება ეს გეგმა. ერთი მხრივ, ეს არის ძალიან მსხვილი და მნიშვნელოვანი სოციალური პაკეტი, რადგან სოციალური მდგომარეობა გაუარესდა, რაც ეკონომიკის ჩაკეტვამ და მობილობის შეზღუდვამ გამოიწვია. მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რადგან ბიზნესინტერესები დაზიანდა; განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესი. სექტორული დახმარებები ძალიან დიდ როლს თამაშობს.

- მცირემიწიანი ფერმერები ნაკლებად ინფორმირებულები არიან სამომავლო აქტივობების შესახებ. ვინ უნდა მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ ადგილობრივი მმართველობები და ამ პროცესში რა როლი აკისრიათ სოფლის რწმუნებულებს?

აქ მხოლოდ ერთი რგოლის მუშაობა საკმარისი ვერ იქნება. იმისათვის, რომ რეგიონულმა სამსახურებმა - ეს იქნება მუნიციპალიტეტები, ჩვენი სამსახურები, თუ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები და სხვა, ეს ინფორმაცია დეტალურად და ეფექტიანად მიიტანონ ფერმერებამდე, რეგიონების ხელმძღვანელებთან, ყველა გუბერნატორთან გვქონდა შეხვედრა.

- როგორი იქნება გაწეული მხარდაჭერის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლის მექანიზმები?

ყოველთვის არის პოლემიკა, რამდენად არის სახელმწიფოს ესა თუ ის დახმარება ეფექტიანი. ჩვენ გავაკეთეთ იდენტიფიცირება მცირე ფერმერების, რომლებიც ცალკე სოციალურ კატეგორიად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ზოგადად, ფერმერული საქმიანობა არის სპეციფიკური. ის თავის თავში მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტია, ჩავთვალოთ, რომ მეწარმეა. ჩვენ, ფერმერების დასახმარებლად, შევქმენით პირდაპირი დახმარების პაკეტი, რომელიც გამოიყენება სწორედ სოფლის მეურნეობაში. სახსრები შესაძლებელია მიმართული იყოს სასოფლო-სამეურნეო მასალებზე, რომელიც წარმოებისთვისაა საჭირო - წარმოების გასაზრდელად, ასევე წარმოების გასაიაფებლად. საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში, ეს ფერმერების კეთილდღეობაზე და მათ კონკურენტუნარიანობაზე აისახება.

- ჩვენ ვსაუბრობთ ფერმერებზე, მაგრამ მომხმარებლის პოზიციიდან რომ გკითხოთ, უახლოეს პერიოდში, რას შეიძლება ელოდოს მომხმარებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით?

ბოლო 2-3 თვის განმავლობაში, სასურსათო პროდუქტებზე იყო ფასების ზრდა წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით. ძირითადად ეს უკავშირდებოდა იმპორტულ პროდუქციას, რადგან იყო ბევრი შეზღუდვა იმპორტულ პროდუქციაზე, თუმცა, სახელმწიფომ შეძლო, რომ ხელი შეგვეწყო მარაგების შექმნისთვის და ფასების ზრდა ყოფილიყო შედარებით პროგნოზირებადი. ჩვენ, სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ ფქვილის ფასი დაგვეფიქსირებინა და პურის ფასი შეგვენარჩუნებინა.

დავუბრუნდეთ მომხმარებლის პოზიციას და ქართულ აგროსასურსათო პროდუქტებს. ეს იყო მარტის და აპრილის თვეები, როდესაც წინა წლის მარაგები ბოლოში გადის და ახალი პროდუქცია ჯერ არ შემოსულა. ეს უკავშირდება როგორც ხორბალს, ისე ბევრ სხვა სეზონურ პროდუქტს. მოვისმინეთ ძალიან ბევრი უკმაყოფილება ფერმერებისგან, რომ მათ არ მოსწონდათ ფასები იმ რეგიონში, სადაც ჰქონდათ ძალიან მკაცრი საკარანტინო პირობები. ამ დროს ოქროს შუალედის გამონახვა რთულია. მომხმარებელს მუდამ ენდომება, რომ პროდუქტი იაფად მიიღოს, ხოლო გამყიდველს, ფერმერს და მწარმოებელს - მეტი ფასი. მთავარია, სამართლიანი კონკურენციის პირობები იყოს ჩამოყალიბებული.

- ბოლო წლებში, ფერმერებმა დაიწყეს ერთწლიანი კულტურების მოყვანა. ვინ შეიძლება, ფერმერებს მისცეს სასარგებლო რჩევები, რათა არ დაზარალდნენ და რენტაბელურები იყვნენ?

ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ მოიყვანენ და რამდენად ეფექტიანები იქნებიან ფერმერები თავიანთ წარმოებაში. აქ ჩვენი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების როლი არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენმა ფერმერებმა მინიმალური აგრორჩევები ყველა მუნიციპალიტეტში უფასოდ მიიღონ. ეს კომუნიკაცია გამართული ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენ ეტაპობრივად ვიღებთ ინფორმაციას ფერმერების საჭიროებების შესახებ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ რამდენიმე წელია დავიწყეთ ფერმერთა რეესტრის წარმოება. ფერმერთა რეესტრის წევრობა არის ერთ-ერთი პირობა სახელმწიფო დახმარების პაკეტის მისაღებად. ფერმერთა რეესტრი არ არის თვითმიზანი, არამედ ეფექტიანი კომუნიკაციის პლატფორმაა, რომ, ერთი მხრივ, გავიგოთ რამდენად შედეგიანია ჩვენი დახმარება, ხოლო, მეორე მხრივ, გავიგოთ კონკრეტული საჭიროებების და პრობლემების შესახებ, რომ ამაზე გვქონდეს უფრო მკაფიო რეაგირება. ეს ინფორმაცია იქნება უფრო სასარგებლო მომავალში, უფრო პროგნოზირებადს გახდის საქმიანობას, უფრო მეტი და ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია გვექნება, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო კარგად დაიგეგმოს პროცესები.

- ძალიან ბევრი ადამიანი წავიდა სოფელში და ხელი მოკიდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მათ საკმაოდ ამბიციური მოლოდინი აქვთ, რამდენად რეალურია ეს მოლოდინი?

ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში გვექნება თანმიმდევრული დახმარების პოლიტიკა. სწორი მოლოდინები მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას შედეგების სწორი აღქმა ჰქონდეს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეკონომიკის განვითარებაზე, აპრიორში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკა მხოლოდ 1 დარგით ვერ იქნება წარმოდგენილი, მით უმეტეს, საქართველოს მსგავს ქვეყანაში, რომელსაც ძალიან შეზღუდული მიწის რესურსები გააჩნია. ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. ჩვენ გვაქვს როგორც კარგი კლიმატური პირობები, ისე სხვა წინაპირობები. სწორი ორგანიზების და აქცენტების შემთხვევაში, კარგი შედეგების მიღწევა შეგვიძლია. იმისთვის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს მეტი კეთილდღეობა, მათ მეტი ან მაღალი ღირებულების პროდუქტი უნდა აწარმოონ, რაც მათთვის მეტი შემოსავლის წინაპირობა უნდა იყოს.

- როდის გვექნება მიწის ერთიანი კადასტრი? მიწის რეფორმასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი მოსაზრება; მიწას, როგორც ეროვნულ კაპიტალს, რას ვუპირებთ?

სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი არის მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. მიწის რეგისტრაცია აუცილებელი პირობაა, რომ შემდგომში სოფლის მეურნეობის მიწის მართვასთან დაკავშირებით ეფექტიანი პოლიტიკა განხორციელდეს. საჭიროა სისტემური მიწის რეგისტრაციის ინსტრუმენტის გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში უნდა მოხდეს ყველა მიწის რეგისტრაცია. ჩვენ ამის პილოტი განვახორციელეთ - იუსტიციის სამინისტრომ იმუშავა მსოფლიო ბანკთან ერთად; შემუშავდა კონკრეტული მეთოდოლოგია და რეგისტრაციის 3 წლიან ამბიციური გეგმა დაისახა.

- ფერმერები ხშირად წერენ, რომ მიწის გადასახადი არ არის სწორად კლასტერიზებული და ნაყოფიერი და უნაყოფო ფასობს ერთნაირად. ამ მხრივ რა მოსაზრება გაქვთ?

მიწასთან დაკავშირებით დაწყებულია ბევრი მნიშვნელოვანი საქმე. ჩამოყალიბდა ახალი მმართველობითი ორგანო - ეს არის მიწის მდგრადი მართვის სააგენტო, რომელიც ჩვენი სამინისტროს სისტემის ნაწილია. ამ სააგენტოს აქვს კარგი გეგმები და ამ გეგმებზე მუშაობა არ შეჩერებულა. გვინდა, რომ გამოცდილი ექსპერტები, რომლებიც მიწის საკითხებზე მუშაობენ, ჩვენი გუნდის ნაწილი იყოს. სააგენტოს ბევრი ამოცანა განესაზღვრა ახალი კანონმდებლობით, რომელიც ბოლო მოწვევის პარლამენტმა მიიღო. სასოფლო სამეურ-

ნეო მიწებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მათ შორის, სწორად შეფასება. სარგებლიანი მიწა უფრო მეტად რომ უნდა იბეგრებოდეს და ნაკლებად ღირებული - ნაკლებად, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიწის ნაყოფიერების შეფასება, ხარისხობრივი პარამეტრები, კატეგორიები, რომლებიც რეგისტრირებული მიწის დიდ ნაწილს განსაზღვრული არ აქვს და უბრალოდ სასოფლო-სამეურნეო მიწაა. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს.

- ფერმერებისთვის და განსაკუთრებით მცირე ფერმერებისთვის, ვიცით, რომ მთავარი პრობლემა პროდუქტის რეალიზებაა. პანდემიის პირობებში უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა ლოგისტიკის პრობლემა. ამ მხრივ რა გეგმები გაქვთ?

ბევრი სუსტი წერტილი არის მიწოდების ჯაჭვში, რომელზეც პასუხი სახელმწიფოს გააჩნია იმ პროგრამებით, რასაც ბოლო წლებში სამინისტრო ახორციელებს. ეს არის თანადაფინანსების ის ინსტრუმენტი, რომელიც მეტი კერძო ინვესტიციის მოზიდვის საშუალებას მოგვცემს, რომ მეტი შემნახველი და კონსოლიდაციის ცენტრი შეიქმნას რეგიონში. ჩვენ ვსაუბრობთ რეგიონულ შემნახველ მეურნეობებზე და სამაცივრო ინფრასტრუქტურაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროდუქციის სწორად მიწოდება მოხდეს მომხმარებლამდე. ათობით ასეთი მეურნეობა დაფინანსდა სახელმწიფოს საგრანტო პროექტებით. საგრანტო პროექტი მეტად რისკიანი საქმეა. მხოლოდ ის საკრედიტო ინსტრუმენტები, რომელსაც რამდენიმე წელიწადია აგროკრედიტის ფარგლებში ვთავაზობთ, ან ეკონომიკის უნივერსალური მხარდაჭერის ინსტრუმენტები საკმარისი არ არის. ჩვენ გვჭირდება მეტი კერძო ინვესტიცია და ამისთვის, ბერკეტის ეფექტი გააჩნია საგრანტო თანადაფინანსებას. ახალი პროდუქტის წარმოება საქართველოში არის ყოველწლიურად მზარდი. ჩვენ ახალი ბაღები გავაშენეთ, ხდება ახალი მეურნეობების განვითარება, პირველადი წარმოების დაფინანსება და ამ ყველაფერს სჭირდება შესაბამისი გადამუშავება, შენახვა და ბაზარზე მიწოდება. ამისთვის თანადაფინანსება აუცილებლად იქნება შენარჩუნებული.

- მერძევეები და მეფრინველეები წლებია ითხოვენ დღგ-ს მოხსნას. რა საგადასახადო შეღავათებს შეგვიძლია ველოდოთ უახლოეს პერიოდში?

სოფლის მეურნეობაში საგადასახადო შეღავათების სივრცე თითქმის აღარ არსებობს ან ძალიან მინიმალური შეიძლება იყოს. პირიქით, ჩვენ შეიძლება გარკვეული გადასახადები პერსპექტივაში დაგვჭირდეს იმისთვის, რომ უფრო მოწესრიგებული და უფრო მეტი აღრიცხვიანობა გვქონდეს სოფლის მეურნეობაში. დღეის მდომარეობით, სოფლის მეურნეობა არ იბეგრება. ამიტომ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, როდესაც საუბარი იყო შეღავათებზე, აქ იყო საუბარი უკვე გადამუშავებელი ინდუსტრიის შეღავათებზე. უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ ვუყურებთ განვითარებას, რომლის 2 გზა არსებობს - გადასახადებს ამცირებს სახელმწიფო და მეტ ფინანსურ რესურსებს უტოვებს კერძო სექტორს, რომ განვითარდეს და მეტი ლიკვიდობა ჰქონდეს ან გარკვეული გადასახადების აღება ხდება და თუ არ იქნება ეს გადასახადი, სახელმწიფოს არ ექნება რესურსი, რომ ეს ფულადი სახსრები განვითარებისკენ მიმართოს. მნიშვნელოვანია, თუ როგორ ახდენს სახელმწიფო ბალანსს და რამდენად ეფექტიანია ესა თუ ის პოლიტიკა. დღეს, ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაში საგადასახადო შეღავათის რესურსი აღარ გაგვაჩნია. ხშირ შემთხვევაში, არასწორი კომუნიკაცია ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით და ამის განმარტებაა საჭიროა. სხვა სექტორებიდან მიღებული გადასახადი არის წყარო, რომელიც შეიძლება მივმართოთ სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ. ეს არის ჩვენი პოლიტიკა - განვითარების დაჩქარებისთვის სხვადასხვა სექტორის მიზნობრივი თანადაფინანსების ინსტრუმენტებს, ხოლო სწრაფი შედეგების მისაღებად, თანადაფინანსების ელემენტს ვიყენეთ.

- რა როლი აქვს მეცნიერებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ჩვენი ამჟამინდელი სამეცნიერო სეგმენტი რამდენად პასუხობს თანამედროვე მსოფლიო მოთხოვნებს?

ის პრობლემები, რომლებიც ბევრი წელია სოფლის მეურნეობაში არსებობს, იმ სამეცნიერო სისტემის, სამეცნიერო პოტენციალის დარღვევას უკავშირდება, რომელიც ქვეყანას ჰქონდა. დღეს, ჩვენ გვჭირდება ძალიან მობილური, ქმედითი, პრაქტიკაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. ამისთვის ჩვენს სამინისტროში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც კვლევებზეა ორიენტირებული, რადგან აღმოჩენებს ძალიან დიდი ადაპტაცია და რესურსი სჭირდება. ჩვენ მოგვიწია იმ ღვაწლმოსილი მეცნიერების ხელახლა შეკრება, რომელთაც გარკვეული გამოცდილება და მიღწევები ჰქონდათ სოფლის მეურნეობაში. თანამედროვე ცოდნის შემოტანა კვლავ გამოწვევად რჩება და ჩვენი ამოცანაა მეტი ახალგაზრდის დაინტერესება სოფლის მეურნეობით. ჩვენ ვმუშაობთ ყველა სამეცნიერო-კვლევით უწყებასთან, როგორც ტექნიკურ, ისე აგრარულ უნივერსიტეტებთან, სკოლებთან, რათა მოვამზადოთ ახალგაზრდა მეცნიერები და მათ მიიღონ ის ცოდნა, რომელიც აქტუალურია თანამედროვე სამყაროში.

- სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევების ფონზე, რამდენად დიდი როლი ენიჭება მედიას და მის ეფექტიან მხარდაჭერას. როგორ უყურებთ აგროჟურნალისტიკის როლს სოფლის მეურნეობაში?

ინფორმაციის ობიექტურად და ეფექტიანად გავრცელებაში ჟურნალისტიკის როლი ძალიან დიდია. აქ როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მედია საშუალებებზეც უნდა ვისაუბროთ. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალი ჟურნალისტები. წარმატების კარგი მაგალითები სახეზეა. იმედი მაქვს, აგროჟურნალისტიკა ძალიან დაგვეხმარება ფერმერებთან კომუნიკაციაში, არსებული საჭიროებების მიწოდებაში. ეს კი პირდაპირ კავშირშია ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან.

საქართველოს პარლამენტმა, მესამე მოსმენით „ტყის კოდექსის" კანონპროექტი დაამტკიცა

„სიმბოლურია, რომ სწორედ ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტი, ტყის კოდექსი. ახალი კოდექსი ჩვენი ტერიტორიის 40%-ის, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემის და ბიომრავალფეროვნების დაცვას ემსახურება. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო გერმანიის მთავრობასა და ევროკავშირს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც წლების განმავლობაში იღებდა საქართველოს მთავრობა და ჩვენი სამინისტრო რეფორმების გატარების პროცესში, მხარდაჭერას იღებდა იმისათვის, რომ ისტორიული მნიშვნელობის კანონპროექტი მიგვეღო და ახალი ფურცლიდან დაგვეწყო ტყის სექტორის მდგრადი მართვა. ის მდიდარი ეკოსისტემა და ტყეები, რომელიც გვაქვს, საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, დაცვას, რისი გარანტიც სწორედ ახალი კანონი იქნება.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ლევან დავითაშვილს, რომლის პირადი ძალისხმევა გადამწყვეტი იყო. მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო ამ კოდექსის შემუშავების პროცესში. ტყის კოდექსი არის ფუნდამენტი სატყეო სექტორის რეფორმის, ჩვენი ტყეების სწორი, მდგრადი მართვის", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა.

ნინო თანდილაშვილმა მადლობა გადაუხადა როგორც პარლამენტის წევრებს კანონპროექტის საინტერესო განხილვებისთვის, რომლებიც არაერთ კომიტეტში, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და ყველა დაინტერესებულ პირს პროცესში აქტიური ჩართულობისთვის.

პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს, მინისტრის მოადგილემ იმ ახალი პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა, რომლის განხორციელებასაც სამინისტრო წელს დაიწყებს.

„ეს გახლავთ კლიმატის მწვანე ფონდის საგრანტო მხარდაჭერა, რომელსაც, სავარაუდოდ, ივნისის თვეში მივიღებთ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ჩართულობით, ტყის სექტორის რეფორმა დაიწყება საქართველოს სამ რეგიონში - გურიაში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. ეს იქნება სიკეთის მომტანი პირველ რიგში იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამ რეგიონებში ცხოვრობენ და, ამავე დროს, წინგადადგმული ნაბიჯი ახალი ტყის კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ევროკავშირის მხარდაჭერა ამ პროცესებში - მოგეხსენებათ, ევროკომისიის 2019 წლის ანგარიშში მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის ძალისხმევა კოდექსის მიღების პროცესში", - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

ლევან დავითაშვილი: „ჩვენი გარემო არის ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ნინო წილოსანთან ერთად, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

მინისტრმა გარემოსდაცვითი მიმართულების მიმდინარე და დაგეგმილი საკანონმდებლო რეფორმების შესახებ ისაუბრა.

ლევან დავითაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ტყის ახალ კოდექსზე გაამახვილა.

„გარემოსდაცვითი საკითხები ჩვენი ხელისუფლებისათვის უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენ მივიღეთ ტყის ახალი კოდექსი. ეს არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს ამკვიდრებს და ტყის მართვა სრულიად ახალ ეტაპზე გადაჰყავს. გარდა ამისა, მთავრობამ სულ ახლახანს დაამტკიცა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ნორმატივები, რაც ასევე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და ცირკულარული ეკონომიკის - მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს ქმნის. ჩვენ, პარლამენტთან ერთად, მიმდინარე წელს, ინიციატივებსა და საკანონმდებლო აქტებზე აქტიურ მუშაობას გავაგრძელებთ, რაშიც ჩვენი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ გარემოსდაცვით უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში სამინისტროს, პარლამენტის, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია ის უმნიშვნელოვანესი კანონები, რომლებიც იქნა მიღებული და რეფორმები, რომელიც განხორციელდა.

„ტყის კოდექსი არის ტყის მოვლის სავალდებულო წესების დადგენა და ამით ყველაფერი ნათქვამია. უმნიშვნელოვანესია ის ფინანსური მხარდაჭერა, რომელსაც კანონპროექტების აღსრულებისთვის ჩვენი დონორი ორგანიზაციები გაგვიწევენ”, - განაცხადა ნინო წილოსანმა.

შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონპროექტში ცვლილებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ატმოსფერული ჰაერის დაცვა ევროპული პრინციპების შესაბამისად განხორციელდება.

მინისტრი ასევე შეეხო ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების მართვის, დაცული ტერიტორიების გაფართოება-დაარსების საკითხებს და სხვა არაერთ გარემოსდაცვით საკანონმდებლო რეფორმასა და ინიციატივას, რაზეც სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

ევროკავშირის დელეგაციის პროექტების განყოფილების უფროსი ვინსენტ ხეი

„მინდა აღვნიშნო, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სიტყვაში გაკეთებული მრავალი საინტერესო აქცენტი სრულ თანხვედრაშია ჩვენს პრიორიტეტებთან. თქვენს მიერ გაჟღერებული საკითხები საინტერესო და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. განსაკუთრებით კი, მომავალში დასამტკიცებელი საკანონმდებლო ინიციატივები. გქონდეთ, ჩვენი მხარდაჭერის იმედი“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში

„მოხარული ვარ, საქართველოს პარლამენტის მიერ, „ტყის კოდექსის“ დამტკიცების გამო. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება 3 მლნ ჰექტარ ტყის ფართობს მიექცევა, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანების ჯანსაღ გარემოში ცხოვრებასთან. ეს არის ქვეყნისთვის უაღრესად დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი.

მოხარული ვარ, რომ ამ განსაკუთრებულ ვითარებაში საქართველოს გარემოს დაცვის და ეკონომიკის მხარდაჭერის შესაძლებლობა გვაქვს, რაც მომავალში კვლავ გაგრძელდება“.

ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პეტერ მიკისკა

„მინდა მოგილოცოთ ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტის „ტყის კოდექსის“ მიღება და ჩემი ქვეყნის სახელით გამოვხატო მხარდაჭერა სამომავლო თანამშრომლობისთვის. თვალსაჩინოა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ქვეყნის პარლამენტის წარმატებული თანამშრომლობა, რაც მისასალმებელი და სამაგალითოა“.

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა

„თანამედროვე რეალობაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართულებები განსაკუთრებით საჭირო და მნიშვნელოვანია. მინდა მოგახსენოთ, რომ სწორედ თქვენი სამინისტროს მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებამ ნარჩენების სეპარაციის შესახებ, მიბიძგა საელჩოში, ჩემს ადმინისტრაციასთან ერთად, ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებისკენ. გიდასტურებთ მხარდაჭერას“.

ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში არად ბენკო

„ავსტრია და „ავსტრიის განვითარების სააგენტო“ „ტყის კოდექსის“ შემუშავებას მხარს მრავალი წლის განმავლობაში უჭერდა. დღეს ამაყი ვარ მიღწეული შედეგით. „ტყის კოდექსის“ მიღება საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციასთან კიდევ უფრო აახლოებს“.

არასამთავრობო ორგანიზაციის „GEO - Georgia's Environmental Outlook“ დამფუძნებელი ხათუნა გოგაღაძე

„გარემოს დაცვის მიმართულებებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდა. მივესალმები სატყეო სექტორის, დაცული ტერიტორიების, ჰაერის დაცვის, ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების მართვის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სფეროში და გარემოს დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმებს.

მინდა აღვნიშნო, რომ საკანონმდებლო ბაზის შექმნა არის საწყისი ეტაპი, რომელსაც შემდეგ აღსრულება სჭირდება. ამ სფეროში ჩართულ ყველა ადამიანს, მინდა წარმატება ვუსურვო“.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) დირექტორი ნანა ჯანაშია

„მოხარული ვარ, რომ „ტყის კოდექსი“, რომელზე მუშაობაც შვიდი წლის წინ დაიწყო, საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა. ეს გახლავთ ტყის სექტორის რეფორმირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი. მასზეა დამოკიდებული როგორც მოსახლეობის სიღარიბის აღმოფხვრა, ასევე, ბუნებრივი კატასტროფების შეჩერება და წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას წლების განმავლობაში, დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა ყველა ეტაპზე ჰქონდა. დოკუმენტი ყველა მუნიციპალიტეტში და თემში განიხილეს. ამ პროცესში, ჩვენი ორგანიზაციაც აქტიურად იყო ჩართული. შემიძლია გითხრათ, რომ საზოგადოებრივი განხილვისა და ხალხის მონაწილეობის თვალსაზრისით, არცერთ კანონპროექტს არ ჰქონია ისეთი მაღალი ინტერესი, როგორიც „ტყის კოდექსს“.

ლევან დავითაშვილი: „კორონავირუსიდან გამომდინარე, მომავალი რთველი, ღვინის მწარმოებელი ქვეყნებისთვის, ბოლო რამდენიმე წელთან შედარებით, ყველაზე დიდი და რთული გამოწვევა იქნება“

პანდემიის გამო ევროპაში ღვინის დარგში შექმნილი ვითარება ონლაინ ფორმატის შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და იტალიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კვების და სატყეო პოლიტიკის მინისტრმა, ტერეზა ბელანოვამ განიხილეს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების კომისიის ვიცეპრეზიდენტი პაოლო დე კასტრო, იტალიის სავაჭრო, ინდუსტრიის, სახელოსნო და სოფლის მეურნეობის პალატების გაერთიანების ვიცეპრეზიდენტი და კაზერტას სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ტომაზო დე სიმონე, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტი ლუიჯი მოიო, იტალიის ღვინოების გაერთიანების პრეზიდენტი ერნესტო აბონა და ასოციაციის „ქართული ღვინო“ დირექტორი თინა კეზელი.

„კორონავირუსის გავრცელებით შექმნილმა ვითარებამ, ფაქტობრივად ევროპის ყველა ქვეყანაში, ღვინის გაყიდვებთან დაკავშირებით, პრობლემები შექმნა. შეხვედრაზე ევროკავშირის ვიცეკომისარმა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების დარგში, ღვინის სექტორთან დაკავშირებით არსებული ვითარება მიმოიხილა. საუბარი შეეხო მომავალ რთველს, რომელიც ღვინის მწარმოებელი ქვეყნებისთვის, ბოლო რამდენიმე წელთან შედარებით, ყველაზე დიდი და რთული გამოწვევა იქნება. დარგის გადასარჩენად, ქვეყნების მთავრობები სხვადასხვა სამოქმედო გეგმებს განიხილავენ. ბევრ მათგანს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. იტალიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ღიად და პირდაპირ დააფიქსირა, რომ არ უნდა შევქმნათ ცრუ მოლოდინები. ახალ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სწორი აქცენტები უნდა გაკეთდეს. რეალურად, ბევრი თვე და წლებიც კი კრიზისი იქნება აგროსასურსათო დარგში და განსაკუთრებით მეღვინეობაში. შეხვედრაზე ვისაუბრეთ საქართველოში არსებულ პრობლემებზე, მათ შორის მეღვინეობაში. განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეები დაზარალდნენ. ისინი, ძირითადად, ტურისტებზე იყვნენ დამოკიდებულები. დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ სეგმენტის მხარდაჭერა“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

„ონლაინ ფორმატში შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი სტუმრების მონაწილეობით ჩატარდა. შეხვედრაზე საუბარი იყო „მერანოს ღვინის ფესტივალზეც“, რომელიც, სრულიად ახალი კონცეფციით, წლის ბოლოს ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ „მერანოს ფესტივალს”, 2021 წელს, საქართველო უმასპინძლებს. მოსამზადებელი სამუშაოები იტალიურ მხარესთან ერთად მიმდინარეობს“, - განაცხადა თინა კეზელმა.

„მერანოს 29-ე ღვინის ფესტივალში“ კი, საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას. წლევანდელი ფესტივალის სლოგანია „ვუბრუნდებით ფესვებს“.

ქვემო ქართლში ახალი სამაცივრე მეურნეობა გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, USAID-საქართველოს მისიის დირექტორთან, პიტერ ვიბლერთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც შპს „აგროკომპლექსის” ხილის შემნახველი ახალი საწარმო გახსნა და პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენებული სუფრის ყურძნის ბაღი დაათვალიერა.

„საქართველოს მთავრობის და „ქართული ოცნების“ დანაპირების შესრულებაა კიდევ ერთი ახალი საწარმო. ქვეყანაში უკვე 200 ერთეულს აჭარბებს სამაცივრე და გადამმუშავებელი საწარმოების რაოდენობა. ახალი საწარმოს გახსნით, ქვემო ქართლის მოსახლეობა, ფერმერები მიიღებენ დამატებით სარგებელს, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. რაც შეეხება სუფრის ყურძნის ახალი ბაღების გაშენებას, ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში. საქართველო არ არის განებივრებული სუფრის ყურძნის წარმოებით. სახელმწიფოს მხარდაჭერით კი, 2-3 წელიწადში შესაძლებელი იქნება სუფრის ყურძნის ექსპორტზე გატანაც”, - განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

„დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის. დღეს, საფუძველი ეყრება ჩვენს სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსა და კერძო სექტორს შორის მორიგ თანამშრომლობას. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად ისახავს ქვემო ქართლის რეგიონში ისეთი ეკონომიკური აქტივობების უზრუნველყოფას, რაც ადგილობრივ ფერმერებს შემოსავლების ზრდაში, ხოლო ქვეყნას ეკონომიკური ზრდის წახალისებაში დაეხმარება. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, შიდა ქართლის რეგიონი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. USAID მხარს უჭერს აღნიშნულ რეგიონში კერძო სექტორის საქმიანობის განვითარებასა და, შესაძლებლობების ფარგლებში, ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის აღდგენას“, - განაცხადა პიტერ ვიბლერმა.

შპს „აგროკომპლექსი“ „გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში, ჯამურად, 2 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, 600,000 ლარი გრანტია, ხოლო 1, 500,000 ლარი - შეღავათიანი აგროკრედიტი.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში, შპს „აგროკომპლექსის“ თანაინვესტირებით (113 000 აშშ დოლარი) 1 440 მ2 ფართზე აშენდა შენობა და დამონტაჟდა ტენიანობისა და ვენტილაციის მარეგულირებელი სისტემა.

შპს „აგროკომპლექსის“ სამაცივრე მეურნეობა აღჭურვილია თანამედროვე ULO (Ultra low Oxyge) ტექნოლოგიით, რომლიც USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტით (74 786 აშშ დოლარი) შეიძინა და 10 სამაცივრე კამერა აღჭურვა. კამერების ჯამური ტევადობა ათასი ტონაა. თანამედროვე ULO ტექნოლოგია უზრუნველყოფს, რომ ხილმა ერთი წლის შემდეგაც ხიდან მოწყვეტილის იერსახე და ღირებულებები შეინარჩუნოს.

საწარმოში მუდმივად დასაქმებულია 15 პირი. კომპანია პროდუქციის რეალიზებას ადგილობრივ ბაზარზე გეგმავს.

რაც შეხება პროგრამის „დანერგე მომავალი" ფარგლებში გაშენებულ სუფრის ყურძნის ბაღებს, ექვსმა კომპანიამ სუფრის ყურძნის გაშენებისათვის და სარწყავი სისტემის მოწყობისათვის 529.379 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო და 3,500,000 ლარის მოცულობის შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა. კომპანიების საკუთრებაში არსებულ 30 ჰა-ზე იტალიური ჯიშის სუფრის ყურძენი გაშენდა.

ქვემო ქართლის რეგიონში გიორგი ხანიშვილთან და პიტერ ვიბლერთან ერთად იმყოფებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები იური ნოზაძე და სოლომონ პავლიაშვილი, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, გარდაბნის მერი რამაზ ბუდაღაშვილი და USAID-ის წარმომადგენლები.

მთავრობის სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ფორმატში მომზადებული ტექნიკური რეგლამენტი მიიღეს

მთავრობის სხდომაზე განიხილეს და მიიღეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, ზეთების, საბურავების, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ფორმატში მომზადდა. თითოეული ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მგვ-ს შესრულებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წესებსა და მოთხოვნებს მოიცავს, მთავრობის სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა წარადგინა.

„ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 2015 წლიდან ძალაშია „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომელიც ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა. კოდექსი ითვალისწინებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) პრინციპის დანერგვას, რომლის თანახმად, გარკვეული პროდუქციის მწარმოებლები და იმპორტიორები პასუხისმგებელნი არიან იმ ნარჩენების მართვაზე, რომლებიც წარმოიქმნება მათი პროდუქციის გამოყენების შემდეგ", - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

მგვ-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანია იმ ფინანსური რესურსების მობილიზება, რომლებიც საჭიროა ნარჩენების ხელახალი გამოყენების, სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების ან სხვაგვარად დამუშავების უზრუნველსაყოფად და ეფუძნება პრინციპს „დამბინძურებელი იხდის". მგვ ხელს უწყობს ნარჩენების სექტორის ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და პირდაპირ კავშირშია როგორც ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასთან, ასევე, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის განვითარებასთან.

ტექნიკური რეგლამენტები შემუშავებულია ევროკავშირის, USAID, SIDA, UNDP, დახმარებით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით; გაზიარებულია შვედეთის, გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილება. პროცესში აქტიურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, ის კომპანიები ვისზეც უშუალოდ ვრცელდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება.

უკვე შემუშავებულია და დაინტერესებულ მხარეებთან თანხმდება „შეფუთვის ნარჩენებისა" და „ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების" შესახებ ტექნიკური რეგლამენტების პროექტებიც.

ევროკავშირი, FAO და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფერმერთა მხარდასაჭერად, 3.2 მილიონი ლარის მოცულობის საგრანტო პროგრამას იწყებს

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით ქვეყანაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სოფლის მეურნეობის დარგის და ადგილობრივი ფერმერების მხარდასაჭერად, ევროკავშირმა (EU), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით დაფინანსების მექანიზმი - საგრანტო თანადაფინანსების პროგრამა შეიმუშავეს.

ფერმერებსა და მცირე მეწარმეებს თანამედროვე საირიგაციო სისტემების შეძენისა და დამონტაჟებისთვის შესაძლებლობა ექნებათ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება მიიღონ. საგრანტო პროგრამისთვის, საერთო ჯამში 3.2 მილიონი ლარი გამოიყო.

აღნიშნული პროგრამა ნაწილია ევროკავშირის ფართომასშტაბიანი საგრანტო ინიციატივისა, რომლის საერთო ღირებულება 19 მილიონ ლარს აღემატება. ფერმერთა საგრანტო თანადაფინანსების პროგრამა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის" (ENPARD) ფარგლებში ხორციელდება.

„საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ევროკავშირთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების უწყვეტ პროგრესს ქვეყანაში. დღეს, მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო, იმ დიდი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას, რაც COVID-19-ის გავრცელებამ გამოიწვია. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას სურსათის უზრუნველყოფის კუთხით პრობლემები არ შეექმნას. სამინისტრომ, საერთაშორისო პარტნიორების და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, შეძლო სწრაფად განეხორციელებინა საჭირო ცვლილებები პროგრამებში. ჩვენ დავეხმარებით ფერმერებს ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შეუფერხებლად წარმართვას და ქვეყანაში პირველადი წარმოების ზრდას", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ხატია წილოსანმა.

„დღეს, გამოწვევებით აღსავსე დროში, სასურსათო უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი საკითხია. პანდემიის საპასუხო საგრანტო ინიციატივა საქართველოს 22 მუნიციპალიტეტში, ფერმერებს საირიგაციო სისტემების სწრაფ მოწყობაში დაეხმარება, რათა მათ წარმოება გაზარდონ. ქვეყნისთვის ეს სურსათის მიწოდების ზრდასა და მეტ შემოსავალს ნიშნავს", - განაცხადა კარლ ჰარცელმა, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა.

საგრანტო თანადაფინანსების მისაღებად, მსურველებს განაცხადის შეტანა 30 ივნისამდე შეეძლებათ. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და თანადაფინანსების მიღების შესაძლებლობა აქვთ ბოსტნეულისა და კენკრის მწარმოებლებს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით, 22 მუნიციპალიტეტში: ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი, წალკა, დმანისი, გარდაბანი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა, ყაზბეგი, დუშეთი, ქედა, ხელვაჩაური, ხულო და შუახევი საქმიანობენ. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, თითოეულ ბენეფიციარს, საირიგაციო სისტემის შეძენისა და მონტაჟის სრული ღირებულების 75% (არაუმეტეს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) დაუფინანსდება.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებს სეზონური სამუშაოების შესრულებაში დროულად დავეხმაროთ. თანამედროვე საირიგაციო სისტემებზე ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ბოსტნეულისა და კენკროვანი კულტურების მოსავლის მოცულობის ზრდასა და შესაბამისად, მეტი შემოსავლის მიღებას. ეს კი, დაეხმარება ქვეყანას, ეფექტიანად დაძლიოს Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები", - განაცხადა საქართველოში FAO-ევროკავშირის პროექტების კოორდინატორმა, ხავიერ სანს ალვარესმა.

საგრანტო თანადაფინანსების პროგრამაში რეგისტრირების პროცესი სრულად ადაპტირებულია ქვეყანაში არსებულ საგანგებო მდგომარეობასთან. განაცხადების შეტანა ხორციელდება ონლაინ, ხოლო საკონსულტაციო დახმარების მიღება სატელეფონო ზარებით იქნება შესაძლებელი. საირიგაციო სისტემების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისთვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და FAO-ს სპეციალისტები, პროგრამის ბენეფიციარებს ინფორმაციის გაზიარების გზით დაეხმარებიან.

აღნიშნული საგრანტო პროგრამა, ENPARD-ის ფარგლებში, 2019 წლიდან მიმდინარე 19.2 მილიონი ლარის მოცულობის საგრანტო ინიციატივის ნაწილია, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორში კაპიტალური ინვესტიციების დაფინანსებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ სასოფლო-სამეურნეო გრანტებზე გამოყოფილი თანხიდან უკვე განხორციელდა 2.2 მილიონი ლარის ოდენობის თანადაფინანსება ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად, ასევე სათბურების მოწყობის უზრუნველსაყოფად. მიმდინარე საგრანტო კონკურსების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე: WWW.FAOGRANTS.GE

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში „საქმიანი ეზო“ მოეწყობა. ტყითსარგებლობის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული სატყეო სააგენტო ხე-ტყის დამზადების პრაქტიკას ცვლის. სოციალური ჭრები ეტაპობრივად გაუქმდება, სააგენტო ორგანიზებულად განახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, დახარისხებას და დასაწყობებას „საქმიან ეზოებში“. აღნიშნული ცვლილება გაუადვილებს მოსახლეობას და კერძო სექტორს ხე-ტყის შეძენას და ტრანსპორტირებას, მათთვის სასურველ პერიოდში.

მოსახლეობის სათბობი შეშით დაკმაყოფილების გარდა, რაც ამ ეტაპზე სოციალური ჭრების ფარგლებში ტყეკაფების გამოყოფას გულისხმობს, სააგენტო აგრძელებს საკუთარი ძალებით, კერძო სექტორის ჩართულობით, ორგანიზებული ხე-ტყის დამზადების სამუშაოებს ყველა რეგიონში. წლის ბოლომდე ქვეყნის მასშტაბით სულ 26 „საქმიანი ეზო“ მოეწყობა. რის შედეგადაც, ტყითსარგებლობა მერქნული რესურსის დამზადების მიზნით, განხორციელდება გაცილებით ეფექტურად, შემცირდება ტყეზე უარყოფითი ზემოქმედება, ასევე, არსებითად შემცირდება უკანონო ჭრები.

არსებული პრაქტიკით, სოციალური ჭრისთვის გამოყოფილი ტყეკაფებიდან გაიცემა ხე-ტყის დამზადების ბილეთი, რაც წარმოადგენს ხე-ტყის დამზადების დაწყების განმსაზღვრელ დოკუმენტს. ხე-ტყის დამზადების ბილეთის შესაძენად ადგილობრივი მოსახლე მიმართავს სს ლიბერთი ბანკის ფილიალს, რომელსაც გააჩნია წვდომა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემასთან. შესაბამისი ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლისა და მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ, პიროვნება იღებს ხე-ტყის დამზადების ბილეთს. ბილეთში მითითებულია ინფორმაცია ხე-ტყით მოსარგებლის, ტყეკაფის მდებარეობის, სახეობის, მოცულობის, ხე-ტყის ხარისხის და სხვ. შესახებ. მოსაკრებლის საფასური სახეობების მიხედვით განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო სააგენტოს მომსახურების საფასური 1 მ3 -ზე შეადგენს 3 ლარს. ბარში მცხოვრები მოსახლეობისთვის გამოყოფილი მერქნული რესურსი განისაზღვრება 7 კუბური მეტრით, ხოლო მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის - 15 კუბური მეტრი.

ხე-ტყის დამზადების ბილეთის შეძენის შემდეგ პიროვნება მიმართავს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს შესაბამის თანამშრომელს (ტყის მცველს), რომელიც აღნიშნული ბილეთის საფუძველზე გასცემს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს, რაც წარმოადგენს ხე-ტყის კანონიერი წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს და დადგენილი წესით ივსება ხე-ტყის დამზადების ან ხე-ტყის დატვირთვის ადგილზე ხე-ტყის ტრანსპორტირებამდე.

აღსანიშნავია, რომ ტყის ახალი კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, სატყეო სექტორის რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის დამკვიდრება, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის გონივრული გამოყენება. ე.წ „საქმიანი ეზოს“ მოწყობა, კოდექსით გათვალისწინებულ სხვა სიახლეებთან ერთად, ტყის მდგრადი მართვის წინაპირობაა.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან არხის 1000 მეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც სოფელ ქვახვრელის, უფლისციხის, დოესისა და გრაკალის დამატებით 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს, ხოლო 400 ჰექტარზე მეტ მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს!

გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა, საქართველოში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ სატყეო სამსახურებს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დამცავი აღჭურვილობა გადასცა.

დამცავ აღჭურვილობაში შედის დეზინფექციის ბარიერები, სადეზინფექციო ხსნარები, ხელთათმანები და პირბადეები. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში პანდემიით შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ, გლობალურ პანდემიასთან ბრძოლაში აქტიური მხარდაჭერისთვის, გერმანიის მთავრობას მადლობა გადაუხადა.

„სამინისტროს სახელით, პანდემიასთან ბრძოლაში აქტიური მხარდაჭერისთვის, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის მთავრობას, მათ წარმომადგენლობას - საელჩოს და ჩვენ მუდმივ პარტნიორს - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), რომელთან ერთადაც არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ“, - განაცხადა იური ნოზაძემ.

საქართველოსთან გერმანიას მრავალწლიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საქართველოში გერმანიის ელჩმა, ჰუბერტ ქნირშმა.

„ჩვენი თანამშრომლობა წლებია გრძელდება. ეს გრძელვადიანი პროექტია. ვამაყობთ, რომ ვართ საქართველოს პარტნიორები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. გარემოს დაცვა უმნიშვნელოვანესია“, - განაცხადა ელჩმა.

აღჭურვილობა პარტნიორ საქვეუწყებო დაწესებულებებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „ეკოსერვის“ ფარგლებში გადაეცათ.

ატმის ორგანიზებულად რეალიზაციისთვის სამუშაოები მიმდინარეობს

ატმის მოსავლის აღების, დაბინავებისა და რეალიზაციის ორგანიზებულად ჩატარების საკითხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ატმის გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებთან და ექსპორტიორებთან გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში ის სადისტრიბუციო ლოკაცია დაათვალიერა, რომელიც კორონავირუსის პანდემიის პირობებში ატმის მოსავლის უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპორტის უზრუნველყოფის მიზნით შეირჩა.

სადისტრიბუციო ლოკაციაზე იმუშავებს ჯგუფი ფიტოსანიტარიული, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელთა საშუალებითაც გადამზიდი მანქანების უცხო ქვეყნის მოქალაქე მძღოლები პროდუქციის რეალიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის აღებას ადგილზე, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეძლებენ.

გადამზიდი მანქანების გადაადგილება გაკონტროლდება.

„წელს ატმის უხვ მოსავალს ველოდებით. საპროგნოზო რაოდენობა, დაახლოებით, 35 000 ტონაზე მეტია. წელს, სეზონზე 20 სამაცივრე მეურნეობა იმუშავებს. ახალი კორონავირუსის პანდემიური პირობებიდან გამომდინარე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის ტერიტორიაზე შევარჩიეთ ლოკაცია, სადაც მანქანები საექსპორტო პროდუქციით დაიტვირთებიან. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ფერმერებმა, მწარმოებლებმა და ექსპორტიორებმა გაითვალისწინონ უსაფრთხოების წესები, რომლებიც აუცილებელია ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის. სახელმწიფო მაქსიმალურს გააკეთებს იმისათვის, რომ ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არ შეექმნათ“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

როგორც კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი ქადაგიშვილმა სამუშაო შეხვედრაზე აღნიშნა, ქალაქ გურჯაანში არსებული საორგანიზაციო შტაბი, შექმნილ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში, ატმის მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ოპერატიულად მოგვარების მიმართულებით იმუშავებს.

სამუშაო შეხვედრას სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ზურაბ ჩეკურაშვილი და სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფერმერებს თესლის ხარისხის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია მოემსახურება

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თესლის ხარისხის ლაბორატორიამ ISO/IEK 17025:2017/2018 სტანდარტთან შესაბამისობის აკრედიტაცია მოიპოვა, რაც ლაბორატორიის მიერ გაცემული შედეგებს საერთაშორისო დონეზე აღიარებულს ხდის. ლაბორატორიაში ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც რეგიონული სტანდარტების (გოსტ), ისე თესლის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების (ISTA) შესაბამისად.

თესლის ხარისხის ლაბორატორია 2015 წელს შეიქმნა და თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით აღიჭურვა. 2015 წლიდან ლაბორატორიის თანამშრომლებმა არაერთი გადამზადება გაიარეს. ლაბორატორიაში დიაგნოსტიკა და კვლევა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს. ლაბორატორიამ აკრედიტაციის მისაღებად საჭირო პროცედურების დანერგვა 2019 წელის დაიწყო. ამავე წელს, თესლის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციის (ISTA) მოთხოვნების და ნორმების შესაბამისად ჩატარდა 398 ლაბორატორიული ანალიზი.

ქვეყანაში მეთესლეობის სექტორის განვითარება და ხარისხის კონტროლის ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სათესლე და სარგავი მასალის სერტიფიცირების კარგად ორგანიზებული სისტემა უზრუნველყოფს მომხმარებელს ხარისხიანი მასალით, რაც მოსავლიანობის და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი საფუძველია.

სათესლე მასალის სერტიფიცირება წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ნაწილს და ქართველ მწარმოებელს საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოში სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვის პროექტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, 2015 წლიდან დაიწყო.

ქვეყნის მასშტაბით, მარცვლეული კულტურების - ხორბლის, ქერის, სოიას, მზესუმზირის, კარტოფილის სათესლე მასალის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პროცედურები 2020 წლამდე უფასოდ ხორციელდებოდა. 2018 წლიდან, ხორბლის სერტიფიცირება სავალდებულო გახდა.

სათესლე და სანერგე მასალაზე ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღების მიზანი ჯიშური და გენეტიკური სიწმინდის შენარჩუნება, ფერმერისთვის გენეტიკურად სუფთა სათესლე მასალის მიწოდება და მაღალხარისხიანი მოსავლის მიღების გარანტიაა. ამავე დროს, სერტიფიცირებული სისტემის შემოღება ბაზარს ფალსიფიცირებული პროდუქციისგან იცავს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სამსახურის მიერ 2015 წლიდან დღემდე შემოწმდა და ინსპექტირება ჩაუტარდა 2500 ჰა-მდე მარცვლეული კულტურების სათესლე ნაკვეთს. გაიცა ხორბლის, ქერის, სიმინდის, მზესუმზირის, სოიას და კარტოფილის თესლის პარტიებზე ჯიშობრივი ხარისხის დამადასტურებელი 142 სერტიფიკატი და 25 000-ზე მეტი სერტიფიცირებული სათესლე მასალის აღმნიშვნელი ეტიკეტი. შესწავლილია 19 სათესლე მეურნეობა.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები 24-მდე გაიზარდა

ქართული ღვინო

ღვინის ეროვნული სააგენტო

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ ადგილწარმოშობის დასახელების ოთხი ღვინო დარეგისტრირდა: „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“.

აღნიშნული სიახლე ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის. ამით ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 24-მდე გაიზარდა: „ქინძმარაული“, „მანავი“, „კახეთი“, „ნაფარეული“, „თელიანი“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „გურჯაანი“, „ხვანჭკარა“, „ატენი“, „სვირი“, „ვაზისუბანი“, „კარდენახი“, „ტიბაანი“, „ტვიში“, „ყვარელი“, „კოტეხი“, „ხაშმის საფერავი“, „ბოლნისი“, „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“.

„ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ახალი ღვინოების სპეციფიკაციების მომზადებასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში. ღვინოების სრული სპეციფიკაცია განთავსებულია ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://georgianwine.gov.ge/Ge/Wine. ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს.

ადგილწარმოშობის დასახელებების ოთხი ახალი ღვინიდან ერთი სამეგრელოს, ხოლო სამი კახეთის რეგიონში იწარმოება:

- **„სალხინოს ოჯალეში“** წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. იგი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ სალხინოს მიკროზონაში მოწეული ოჯალეშის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება. სამეგრელო მევენახეობის უძველესი და მაღალი კულტურის მქონე კუთხეა, რაზედაც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ აქ ორმოცდაათზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. 1942 წლიდან „ოჯალეშის“ სახელწოდებით იწარმოებოდა წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამჟამად „სალხინოს ოჯალეშის“ სახელით იწარმოება წითელი მშრალი ღვინო, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.



- **„ახმეტა“** (დამატებითი აღნიშვნა „ახმეტის მწვანე“) თეთრი ან ქარვისფერი ღვინოა. მიკროზონა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს. „ახმეტა“ თეთრი შაქრიანობის მიხედვით შეიძლება იყოს მშრალი, ბუნებრივად ნახევრად მშრალი და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი. „ახმეტა“ თეთრი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ახმეტის მიკროზონაში მოწეული კახური მწვანის ჯიშის ყურძნიდან, ხოლო „ახმეტა“ ქარვისფერის დამზადებისას დასაშვებია კახურ მწვანეს დაემატოს ამავე მიკროზონაში მოწეული ქისის ან ხიხვის ჯიშის ყურძენი, ჯამურად 15%-მდე.

- **„წარაფი“** ქარვისფერი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. „წარაფი“ მზადდება მხოლოდ წარაფის მიკროზონაში მოწეული რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან. „წარაფის“ დამზადებისას რქაწითელის ჯიშის ყურძენს შეიძლება დაემატოს 15%-მდე კახური მწვანის და ხიხვის ჯიშის ყურძენი. წარაფის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, დამახასიათებელი კლიმატი: ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ტყის ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ვაზის ჯიშების განსაკუთრებული თვისებები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „წარაფის“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს და მაღალ რეპუტაციას.



- **„ახოები“** წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. „ახოები“ წითელი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ახოების მიკროზონაში მოწეული საფერავის ან ბუდეშურისებური საფერავის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება. „ახოების“ მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, ზომიერად თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ყავისფერი, კარბონატული ნიადაგები, ვაზის ჯიშების კონკრეტულად ამ მიკროზონაში გამოვლენილი თვისებები განაპირობებს ღვინო „ახოების“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს და გამორჩეულობას.



ალექსანდროული – წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

სინონიმები: აღექსანდრიეული. ძირითადად გავრცელებულია ***ხაჭა-ღეჩხუმში***

ტოლა-ხვანჭკარის მიკროზონაში იძლევა ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს, რომელსაც ადრე "ყიფიანის ღვინო" ერქვა, ამჟამად კი "ხვანჭკარა". ალექსანდროული მაღალხარისხიანი პროდუქციის მომცემი საღვინე ვაზის ჯიშია. იგი საუკეთესო პროდუქციას სოფელ ხვანჭკარაში იძლევა. მუჯურეთულთან ერთად კუპაჟში, ორიგინალურ და ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოს"ხვანჭკარა" -ს ამზადებენ. ჯიში საშუალო ზრდისაა.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომისაა, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, სამნაკვთიანი, გვხვდება ხუთნაკვთიანი ფოთლებიც. ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია აბლაბუდისებრ-ჯაგრისებური შებუსვით. მტევანი საშუალო ან მცირე ზომისაა, კონუსური ფორმის, იშვიათად ცილინდრულ-კონუსური, ახასიათებს დატოტვა, თხელია ან საშუალო სიკუმსის. მარცვალი მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, სიმწიფეში მუქი ლურჯია, თითქმის შავი. რბილობი ოდნავ კნატუნაა, წვნიანი, წვენი შეუფერავი, ძალიან სასიამოვნო ტკბილი გემოთი და სუსტად გამოხატული ჯიშური არომატით.

სავეგეტაციო პერიოდი 150-175 დღეა. მტევნის საშუალო წონა 90-100 გრამია. კარგად ვითარდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, მაგრამ მაღალხარისხიან ღვინოს კირნარ, ქვათიხნარ და ხირხატ ნიადაგებზე იძლევა შესაბამისი საძირის შერჩევისას. ყურძნის სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 24-28%-ს, მჟავიანობა 5.5-7გ/ლ.

კრახუნა თეთრი – თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

წარმოშობა: ***იმერეთი***

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, "კრახუნა" მარცვლის თვისების გამომხატველი იმერული წარმოშობის სიტყვაა. კრახუნა განსაკუთრებულად მაღალხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჯიშია. მისი ღვინო ხასიათდება: ლამაზი შეფერვით, ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით, დიდი სხეულითა და კარგი გემოთი. ასევე შენახვისა და გადატანის დიდი უნარით. ყურძნის დაგვიანებით მოკრეფის შემთხვევაში კი, მისგან მზადდება განსაკუთრებულად მაღალი ღირსების სადესერტო ღვინო. ჯიში საშუალო ზრდისაა.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომისა და მომრგვალო ფორმისაა, ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია საკმაოდ ხშირი შებუსვით. მტევანი საშუალო ზომისაა, განიერ - კონუსური ფორმის, ხშირად მხრიანი, საშუალო სიკუმსის ან კუმსი. მარცვალი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომის, ოვალური, მომწვანო-მოყვითალო ელფერის. რბილობი საკმაოდ წვნიანი და ხორციანია, კნატუნა, ძალიან სასიამოვნო ტკბილი გემოთი.

სავეგეტაციო პერიოდი 164-170 დღეა. მტევნის საშუალო წონა 140-200 გრამია. ყურძნის სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 21-23%-ს, მჟავიანობა7.5-8.5 გ/ლ.

ჩინური – თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

სინონიმები: კასპური, კასპური თეთრი, ატენური. წარმოშობა: ***ქართლი***

ჩინური მაღალხარისხიანი საღვინე და სასუფრე ვაზის ჯიშია. ევროპული წესით დაყენებული მისი ღვინო ხასიათდება ლამაზი და ღია ჩალისფერი შეფერვით, საკმაო სხეულით, შინაარსით, დიდი სინაზით. ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური თანაფარდობით. ასევე წარმატებით გამოიყენება მაღალხარისხიანი ცქრიალა ღვინის დასამზადებლად. ცქრიალა ღვინო – მოჩალისფროა, მეტად სუფთა, სასიამოვნო სირბილის და ხალისიანი მჟავიანობით. განსაკუთრებით სახელგანთქმულია ჩინურის მონაწილეობით დაყენებული ღვინო „ატენური".

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომისაა, მომრგვალო, სამნაკვთიანი ან ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარე ძარღვების გასწვრივ მცირედ შებუსულია. ყვავილი მდედრობითი სქესისაა. მტევანი საშუალო ზომისაა, ცილინდრული, ზოგჯერ ცილინდრულ - კონუსური ფორმის, ფრთიანი, საშუალო სიკუმსის ან კუმსი. მარცვალი მომრგვალო ან ოდნავ ოვალური ფორმის, მომწვანო - მოყვითალო ან ღია ქარვისფერი, კანი საკმაოდ სქელი, რბილობი ოდნავ მკვრივი, ხორციანი და წვნიანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი.

სავეგეტაციო პერიოდი 160 – 175 დღეა. მტევნის წონა 172- 185 გრამამდე მერყეობს. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 17- 20.5%-ს, მჟავიანობა 7.9 – 9.5 ლ/გ -ს.

ჩხავერი – წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში

სინონიმები: ჩხაველი. წარმოშობა: ***გუჩია***

ჩხავერი მაღალხარისხიანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისი ყურძნისაგან დამზადებული ღვინო ღია ვარდისფერია, ნაზი და ჰარმონიულია, დამახასიათებელი ჯიშური არომატით, ალკოჰოლის საკმაო შემცველობით და ოდნავ მომეტებული, მაგრამ სასიამოვნო მჟავიანობით. ჯიში ხასიათდება საშუალოზე სუსტი ზრდა-განვითარებით.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომისა და მომრგვალო ფორმისაა, სამნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა ქეჩისებურია. მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომისაა, ცილინდრულ-კონისური ფორმის, ზოგჯერ ცალფრთიანი, თხელი, გვხვდება საშუალო სიკუმსის მტევნებიც. მარცვალი მუქი-წითელი ვარდისფერია, საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომის, თითქმის მრგვალი. კანი სქელი აქვს. რბილობი საშუალო სიმკვრივის, ხორციანი და წვნიანია, ტკბილი და სასიამოვნო გემოთი.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 210-222 დღეა. მტევნის საშუალო წონა 135 გრამია. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 19.5-21%-ს, მჟავიანობა 8.1 – 9.6 ლ/გ -ს.

ქლიავის ბაღის გაშენება

ქლიავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურკოვანი კულტურაა. მისი ნაყოფი გამოიყენება როგორც ნედლად, ასევე გადამუშავების მიზნითაც. გადამუშავებული პროდუქტიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩირი, რომელზეც მოთხოვნა სტაბილურად მაღალია მსოფლიოში და საქართველოში. ქლიავისგან ასევე ამზადებენ წვენს, კომპოტს, მურაბას, ხილფაფას, სწრაფგაყინულ პროდუქტებს და სხვა. ნაყოფი მდიდარია ნახშირწყლებით - 6,5 - 14,8%; ორგანული მჟავეებით 0,35 - 1,58%; პექტინოვანი ნივთიერებებით - 0,33 - 0,98%, ვიტამინებით, პოლიფენოლებით და სხვა. ქლიავი ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს,

ნატრიუმს, ფოსფორს და სხვა.

ქლიავი სინათლის მოყვარული მცენარეა, თუმცა იგი უფრო ნაკლებ სინათლეს მოითხოვს ვიდრე ატამი, გარგარი და ბალი. ქლიავი ასევე მომთხოვნია ტენის მიმართ. მშრალ პირობებში ნაკლებად იძლევა მაღალი ხარისხის მოსავალს. საძირეების შერჩევის შესაბამისად კარგად ეგუება სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს. სხვა კურკოვნებთან (ბალი) შედარებით უძლებს გრუნტის წყლების დგომის მაღალ დონეს. ნიადაგის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვენიადაგს, იგი უნდა იყოს კარგი დრენაჟის მქონე. ქლიავი შეიძლება ნორმალურად განვითარდეს ალუვიურ, მცირე ხირხატიან ალუვიური ტიპის ნიადაგებზეც.

ქლიავის მიწისზედა ნაწილების განვითარება ჯიშებისა და გარემო ეკოლოგიური პირობების მიხედვით ძლიერ ცვალებადია - ბუჩქიდან დიდი ტანის ხეებამდე. ხე იზრდება 3 - 6 მეტრი სიმაღლის. ახალგაზრდა ასაკში ძლიერ იზრდება, სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ზრდას შედარებით ანელებს. საძირეების მიხედვით მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მე-3-5 წელს. საშუალო მოსავლიანობა სტანდარტულ ბაღებში შეადგენს 15 - 20 ტონა/ჰა. სამრეწველო ბაღის სიცოცხლის პროდუქტიული ხანგრძლივობა 20 - 30 წელს შეადგენს.

ქლიავის მოყვანა ჯიშების შესაბამისად შესაძლებელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, თუმცა, სამრეწველო მოსავლის მისაღებად საუკეთესო რეგიონებად მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, ქვემო და შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და იმერეთია მიჩნეული. ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა მაღალი ხარისხის მსხვილი ზომის ქლიავებზე სტაბილურად მაღალია.

ქლიავის ჯიშები

ნაყოფის ფორმისა და შეფერვის მიხედვით ქლიავის ჯიშები იყოფა რამდენიმე პომოლოგიურ-საწარმოო ჯგუფებად:

უნგრულები – მოგრძო, თავში და ბოლოში შევიწროებული, მუქ ლურჯ ან იისფრად შეფერილი ნაყოფებით (შავქლიავა, სტენლი და სხვა) იტალიური უნგრულა, აჟანის უნგრულა, დიდი ჰერცოგი, ანა შპეტი).

იტალიური ქლიავები ანუ რენკლოდები – მრგვალი, მომწვანო ან მოყვითალო (შეწითლებული გვერდით) ნაყოფებით, (ალტანის რენკლოდი, მწვანე რენკლოდი და სხვ.)

კვერცხისებრი ქლიავები - მსხვილი, კვერცხისებრი ფორმის ყვითელი ან წითელი ფერის ნაყოფებით (ვაშინგტონი, ჯეფერსონი, და სხვ.)

ჩინურ-იაპონური ქლიავები (ბერძნულა ქლიავი) - მრგვალი, მკვრივი რბილობით, პატარა კურკით, მაღალი ტრანსპორტაბელურობით და შენახვისუნარიანობით გამორჩეული ნაყოფებით - ანჯელენო, ფრიარი, ბლეკ ამბერი და სხვ.

ფრიარი

ბლეკ ამბერი

სტენლი

რენკლოდი

ანჯელენო

ანა შპეტი

აჟანის უნგრულა

ჯეფერსონი

ნიადაგის მომზადება ბაღის გასაშენებლად

საპლანტაჟო მოხვნა უნდა ჩატარდეს ბაღის გაშენებამდე წლინახევრით ადრე, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება ხშირად ხდება დარგვამდე 6 - 9 თვით ადრე. საპლანტაჟო ხვნის სიღრმე შეადგენს 40-60 სმ-ს ნაკლებად ნაყოფიერ და 60 - 80 სმ-ს ნაყოფიერ მიწებზე. ღრმა პლანტაჟს არ იყენებენ 7-100 დახრილობის ფერდობებზე, ძლიერკარბონატულ ნიადაგებზე, ძლიერი თიხნარი ქვენიადაგის მქონე ფართობებზე. პლანტაჟის კარგი ალტერნატივა ღრმა ჩიზელური გამაფხვიერებლით ან რიპერით ქვენიადაგის ფენის დამუშავება 60 - 80 სმ სიღრმეზე.

პლანტაჟის შემდეგი ღონისძიებებია: გადახვნა, კულტივაცია დისკოებიანი კულტივატორით, კულტივაცია როტაციული კულტივატორით.

პლანტაჟის ან გადახვნის პარალელურად ახდენენ ნიადაგის განოყიერებას - ამ დროს ნაკვეთში შედის ორგანული სასუქები (ნაკელი, კომპოსტი), ფოსფორიანი, კალიუმიანი ან კომპლექსური სასუქები. სასუქების შეტანის დოზები განისაზღვრება ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით მხოლოდ წინასწარ ჩატარებული ნიადაგის ანალიზის საფუძველზე.

დარგვა

დარგვა შეიძლება განხორციელდეს გვიან შემოდგომიდან და გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე კლიმატური პირობები ამის შესაძლებლობას იძლევა. ხეხილის დარგვა შეიძლება მთელი ზამთრის განმავლობაში, თუ ნიადაგი გაყინული არ არის, ჰაერის საშუალო ტემპერატურა არ არის უარყოფითი. გაზაფხულზე ხეხილის დარგვა სასურველია დამთავრდეს 15 აპრილამდე.

ბაღის გაშენებისას ნერგის ხარისხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, ამიტომ მის შერჩევას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ნერგი უნდა იყოს ერთწლიანი ან ორწლიანი, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით, სწორი ღეროთი და არანაკლებ 140-160 სმ-ის სიგრძის. ნერგის დარგვის წინ, სასურველია, სარგავი ორმო ამოღებული იყოს რამდენიმე დღით ადრე, ორმოს დიამეტრი 50-60 სმ-ია, ხოლო სიღრმე - 30- 40 სმ.

ქლიავის ნამყენი ნერგის დარგვისას გასათვალისწინებელია, რომ ნერგის ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 4-5 სმ-ის სიმაღლეზე მაინც უნდა განთავსდეს. დარგვის შემდეგ ხდება ნამყენის გადაჭრა ნერგის ტიპისა და ფორმირების მეთოდიდან გამომდინარე (დაუტოტავ ნერგს ჭრიან 80-90 სმ სიმაღლეზე ზედაპირის დონიდან). შემდეგ მოხდება მცენარის დამაგრება სარზე კანაფით ან სპეციალური რეზინის დასამაგრებლებით.

დარგვის შემდეგ ნერგი აუცილებლად უნდა მოირწყას. 1 ნერგზე საჭიროა არანაკლებ 25-30 ლიტრი წყალი. ამის შემდეგ მორწყვა რეგულარულად უნდა განმეორდეს მოკლე 2-3 დღის ინტერვალებით ნერგის გახარებამდე. ნერგის ფესვთა სისტემის ნორმალურად განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დარგვის შემდეგ ფესვები 25 - 30 დღის განმავლობაში არ განიცდიდეს ტენის დეფიციტს.

ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისათვის უმჯობესია, რომ ბაღის კვარტალი გაშენებული იყოს ერთი ჯიშით, მაგრამ დამტვერვის აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, თითოეულ ჯიშს ჰქონდეს 1-2 დამამტვერიანებელი ჯიში. დამამტვერიანებელი ჯიშის შერჩევისას ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს: ერთდროული ყვავილობა, ურთიერთგანაყოფიერების მაღალი ხარისხი, ზრდის და სიმწიფის მსგავსი პერიოდები. დამამტვერიანებელი ჯიშები ბაღში შესაძლებელია განლაგდეს: ა) ყოველი მეოთხე, (მეშვიდე) ხე რიგში; ბ) ფართო ერთ ჯიშიან ზოლებად.

დარგვის სქემები

ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტური გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ქლიავის საძირეებად გამოყენებულია ქლიავის ნათესარები, ტყემლის ნათესარები, Ishtara (იშტარა), Mrs, Mir29 C და სხვა. ამჟამად სამრეწველო ბაღებში ფართოდ გამოიყენება მცენარეთა მართკუთხოვანი განლაგება. ქლიავის გაშენების გავრცელებული სქემებია: 5 X 3, 5 X 4, 6 X 3 და 6 X 4 მეტრზე.

გასხვლის პრინციპები

ქლიავის ფორმირების რეკომენდებული მეთოდებია: ცენტრალურ-ლიდერული ან ჯიშური თავისებურებიდან გამომდინარე მრავალლიდერული ჯამისებრი ფორმირება.

ქლიავი ფორმირდება ლიდერული ფორმირების წესის შესაბამისად: გამოყოფენ ლიდერს, აცილებენ კონკურენტს, ახდენენ ტოტების დაქვემდებარებას. ქლიავის გასხვლისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტოტების დამოკლებას მსხმოიარობის ტიპიდან გამომდინარე. თუ ქლიავის მოცემულ ჯიშს აქვს მიდრეკილება ძლიერი დატოტვისა და ჩახშირებისაკენ, ახდენენ მხოლოდ ჩამახშირებელი ტოტების ამოჭრას, დატოტვის ნაკლებუნარიან ჯიშებს კი ამოკლებენ 1/3 ან 1/4-ით. ქლიავის ხეების გაახალგაზრდავება საკმაოდ ეფექტურია, ამისთვის ვარჯს ძლიერ გამოხშირავენ და დედატოტებს ამოკლებენ 0.5 ან 0.8 მეტრამდე.

მავნებელ-დაავადებები ქლიავის ბაღში

მავნებლები და დაავადებები დიდ ზიანს აყენებს ქლიავის ნარგაობას, ამცირებს მის საექსპლოატაციო პერიოდს, აუარესებს ნაყოფის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ქლიავის კულტურის ძირითადი მავნებლებია: აღმოსავლური ნაყოფჭამია, ოქროკუდა, ფოთოლხვევიები, ბუგრები, ტკიპები, ცხვირგრძელები და სხვა.

განსაკუთრებით აზიანებს ამ კულტურას შემდეგი დაავადებები: მონილიოზი, ნაცარი, კლასტეროსპოროზი, ნაცრისფერი სიდამპლე, პოლისტიგმოზი და სხვა. ამიტომ, აუცილებელია მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ღონისძიებების განხორციელება აგროვადების მკაცრი დაცვით.

სარეველების კონტროლი

ხეხილის ბაღებში სარეველების კონტროლისთვის გამოიყენება როგორც მექანიკური გაფხვიერება-გამარგვლის მეთოდი, ასევე ქიმიურიც - ჰერბიციდები. ჰერბიციდები ბაღში შეაქვთ მწკრივებში 80 - 100 სმ-ის ზოლებად. ბაღში იყენებენ კონტაქტურ და სისტემურ აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ პრეპარატებს - გლიფოსატი (კლინი, ურაგანი, ნოკდაუნი და სხვა) - 4-6 ლიტრი/ჰა, გლიფოსინატი, დიქვატი - (ბასტა, რეგლონი) - 3 - 4 ლიტრი/ ჰა და სხვა დაშვებული ჰერბიციდები. გასათვალისწინებელია, რომ ჰერბიციდის მცენარის მწვანე ნაწილებზე მოხვედრა დაუშვებელია.

რიგთაშორისებში სარეველების კონტროლისთვის მიმართავენ სიდერატების თესვას, დაკორდებას, რომლის რეგულირებასაც ახდენენ ვეგეტაციის პერიოდში ხშირი 4 - 6 თიბვით. ასევე გავრცელებულია შავი ანეულის მეთოდიც - სეზონის განმავლობაში რიგთაშორისების მრავალჯერადი კულტივაცია.

მორწყვა

ქლიავის ბაღის მორწყვა შეიძლება სხვადასხვა ხერხებით ჩატარდეს: ზედაპირული (მოღვარვით, ჯამში დატბორვით, გაჟონვით, კვალში მიშვებით), წვეთოვანი ან მიწისქვეშა მორწყვის საშუალებით. ზედაპირული მორწყვის პირობითი ვადებია:

ადრეულ გაზაფხულზე, ყვავილობის დაწყებამდე მორწყვა ხელს უწყობს ხეების ნორმალურ ყვავილობას და გამონასკვას. მორწყვა ყვავილობისა და გამონასკვის დასრულებიდან 10–15 დღის შემდეგ, ამ პერიოდში რწყვა ხელს უწყობს ხის საასიმილაციო აპარატის ფორმირებას.

მორწყვა ნასკვების ფიზიოლოგიური ცვენის შემდეგ. მორწყვა ნაყოფის ინტენსიური ზრდის პერიოდში – მიმართავენ ერთ ან ორ რწყვას, ზაფხულის მეორე ნახევრის ნალექით უზრუნველყოფის რეჟიმის შესაბამისად (მშრალ ზაფხულში ორჯერ, ტენიან ზაფხულში – ერთხელ). მორწყვა მოსავლის აღებამდე 2 კვირით ადრე და მოსავლის აღების შემდეგ. ასევე რეკომენდებულია მორწყვის ჩატარება გვიან შემოდგომა-ზამთარში, ფოთლების მასიური ცვენის შემდეგ.

წვეთოვანი მორწყვისას მიღებულია 2,6. 4,0 ან 8,0 ლიტრი/საათში კომპენსირებადი საწვეთურების გამოყენება, რომლებიც ლატერალურ მილშია ინტეგრირებული 0.7 ან 1.0 მეტრის ინტერვალით. მილები შესაძლებელია მოთავსდეს, როგორც ნიადაგის ზედაპირზე, ასევე საყრდენ სისტემაზე ან შტამბზე დაკიდების გზით.

განოყიერება

ქლიავის ბაღში ორგანული სასუქები (კომპოსტი, გრანულირებული ორგანული სასუქი, ნაკელი) გამოიყენება 3-4 წელიწადში ერთხელ შემოდგომა-ზამთრის ხვნის დროს.

მინერალური სასუქები გამოიყენება ყოველწლიურად, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შემოდგომა-ზამთრის ხვნის ან ზოლოვანი შეტანის მეთოდით. აზოტიანი სასუქები სამ ვადაში: 1/3-ადრე გაზაფხულზე წვენთა მოძრაობის დაწყების წინ. 1/3-ყვავილობის დამთავრებისას. 1/3 - მოსავლის აღების შემდეგ. წვეთოვანი მორწყვის სისტემის და ფერტიგატორის არსებობის შემთხვევაში ხორციელდება 6 - 8 -ჯერ განოყიერება წყალში ხსნადი სასუქებით მითითებული ნორმების შესაბამისად.

ნიადაგის ტიპების მიხედვით მსხმოიარე ბაღებისათვის რეკომენდებულია: აზოტი 90-120 კგ, ფოსფორი 60-120 კგ, კალიუმი 60-100 კგ/ჰა (მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით).

მოსავლის აღება

ხილის კრეფის ვადის ზუსტად განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხისა და შენახვის უნარიანობის გაზრდისათვის. ვადაზე ადრე ან გვიან მოკრეფილი ხილი კარგავს თავის სასაქონლო თვისებებს.

ქლიავის კრეფის პერიოდი დგება მაშინ, როდესაც იგი მიაღწევს ჯიშისათვის დამახასიათებელ ზომას, შეფერვას და ყუნწი ადვილად სცილდება ნაყოფსაჯდომს, ასეთ სტადიაში მოკრეფილ ნაყოფს ახასიათებს ჯიშისათვის დამახასიათებელი გემო, არომატი და კონსისტენცია.

ქლიავის ჯიშების საკრეფი და მოსახმარი სიმწიფე თითქმის ერთდროულად დგება. ქლიავის ნაყოფის მოკრეფის ვადა დამოკიდებულია მოსავლის დანიშნულებაზე. თუ ნაყოფი ნედლად მოიხმარება და გათვალისწინებულია ტრანსპორტირებისათვის, ქლიავს კრეფენ 3-6 დღით ადრე, მოხმარების სიმწიფის დადგომამდე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ქლიავის ჯიშების სიმწიფის და შესაბამისად კრეფის ვადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. იგი იწყება ივლისის შუა რიცხვებიდან (იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) და გრძელდება სექტემბრის დასასრულამდე (შიდა ქართლი, სამცხე ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი).

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის პროგრამებით ფერმერები შეუფერხებლად სარგებლობენ

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ფერმერები და მეწარმეები სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებენ.

15 ივნისის მონაცემებით:

სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 28,000-მდე ფერმერს უკვე დაერიცხა აგროქულები. დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 5 მლნ-მდე ლარს შეადგენს. აგროქულების დარიცხვა გრძელდება.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით, უკვე 47,000-ზე მეტმა ბენეფიციარმა 16,000 ტონაზე მეტი მოცულობის აგროდიზელის ფასდაკლების ბარათები მიიღეს.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობამ 10,899 შეადგინა. დაზღვეულია 10,000 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი, ხოლო დაზღვეული მოსავალის ღირებულება 107 მილიონ ლარს აღემატება.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო 6 თვის საპროცენტო განაკვეთს სრულად ფარავს. გაცემულია 319 აგროსესხი, სესხის თანხა, ჯამურად, 6 მლნ ლარს აჭარბებს, მათ შორის, სააგენტოს მიერ პროცენტის თანადაფინანსება 400, 000 ლარზე მეტია.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონიდან შემოსულია 600-ზე მეტი განაცხადი. მოთხოვნილი თანადაფინანსება 26 მლნ ლარს აჭარბებს.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრირებულია 440-ზე მეტი განაცხადი. განაცხადების უმეტესობა, 300-ზე მეტი განაცხადი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების მოთხოვნაა. სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის და მოდერნიზებისთვის შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების, ასევე, ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვასა და მონტაჟის თანადაფინანსების მოთხოვნით შემოსულია 100-ზე მეტი განაცხადი. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი 10 მლნ ლარს შეადგენს.

ის, რაც ფერმერმა უნდა იცოდეს

სსეს
სურსათის ეროვნული სააგენტო

იოსებ მენთეშაშვილი

სუხსათის ეროვნული საგენტოს ვეტეხინახიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

„წღებია ვზრუნავ ცხოველების ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელი ცხოველი ჩვენი ჯანმრთელობის წინაპირობაა. არსებობს ბევრი ისეთი დაავადება, რომლითაც ცხოველიც და ადამიანიც ავადდება; დაავადებული ცხოველი ვერ მოგცემს ჯანსაღ და უვნებელ პროდუქტს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ცხოველებზე, ვითანამშრომლოთ ვეტერინარებთან და გავითვალისწინოთ სპეციალისტის რჩევები“ .

- ცხოველების/ფრინველების ვაქცინაცია, სპეციალისტების მიერ რეკომენდებული სქემით უნდა ჩატარდეს;
- ვაქცინები შეიძინეთ მხოლოდ ვეტერინარულ აფთიაქებში და პრეპარატი გამოიყენეთ ინსტრუქციის სრული დაცვით;
- ცხოველი/ფრინველი აუცილებელია აიცრას ძირითად გავრცელებულ ინფექციურ დაავადებებზე ან მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ინფექციურ დაავადებებზე.

გახსოვდეთ, საჭიროა დროულად ჩატარდეს გეგმური ვაქცინაცია:

მსხვილფეხა პირუტყვში:

- სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით: ჯილეხის, თურქულის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტისა და ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ.
- ფერმერის/ცხოველის მფლობელის მიერ ტარდება: პასტერელოზის (ბოღმა, ღოკი), ემფიზემური კარბუნკულის - ემკარი (ქიქინა) საწინააღმდეგოდ.

წვრილფეხა პირუტყვში ცხვარი/თხა:

- სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით: ჯილეხის, თურქულის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ.
- ფერმერის/ცხოველის მფლობელის მიერ ტარდება: ბრადზოტის, ინფექციური ენტეროტოქსემიის საწინააღმდეგოდ.

ღორი:

- ფერმერის/ცხოველის მფლობელის მიერ ტარდება: ღორის წითელი ქარის, ღორის ჭირის, პასტერელოზის, აუესკის ავადმყოფობის - (ცრუ ცოფი) საწინააღმდეგოდ.

ბოცვერი:

- ფერმერის/ცხოველის მფლობელის მიერ ტარდება: მიქსომატოზის, პასტერელოზის (ჰემორაგიული სეპტიცემია) საწინააღმდეგოდ.

ძაღლი:

- მფლობელის მიერ ტარდება: ხორციმჭამელთა ჭირის, ჰეპატიტის, დიარეას, ცოფის საწინააღმდეგოდ.
- სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით: ცოფის (კამპანიური ხასიათის) საწინააღმდეგოდ.

ფრინველი ქათამი/ინდაური:

- ნიუკასლის ავადმყოფობის - (ცრუ ჭირი), ინფექციური ლარინგოტრაქეიტის, ინფექციური ბრონქიტის საწინააღმდეგოდ.

პარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავება:

- მწერები და ტკიპები მრავალი დაავადების გადამტანები არიან, რაც იწვევს ცხოველის პროდუქტიულობის დაქვეითებას და შესაძლოა გამოიწვიონ ცხოველების სიკვდილიც (პიროპლაზმოზის (ნაბარევი, ციება)), ასევე ზოონოზური დაავადებების რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელების და სხვა).
- აუცილებელია ცხოველები დავამუშავოთ მწერების და ტკიპების საწინააღმდეგოდ.
- გახსოვდეთ! ცხოველებს დროულად უნდა ჩაუტაროთ ექტო და ენდო (გარეგანი და შინაგანი) პარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავება:
- განსაკუთრებით საშიშია შინაგანი პარაზიტებით (ჰელმინთებით, პროტოზოებით) გამოწვეული დაავადებები, როგოც ცხოველის ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის (დიქტიოკაულოზი, ფასციოლოზი, დიკროცელიოზი ექინოკოკოზი და სხვა).

ნებისმიერი **ვეტერინარული პრეპარატი უნდა შევიძინოთ, მხოლოდ ვეტერინარულ აფთიაქში,** ყურადღება უნდა მივაქციოთ ვარგისიანობის ვადას და შენახვის პირობებს, აუცილებლად მოვითხოვოთ მისი გამოყენების ინსტრუქცია და დეტალურად გავეცნოთ მას.

ვეტერინარულმა პრეპარატმა რომ არ გამოიწვიოს ცხოველის ჯანმრთელობის გაუარესება და სიკვდილი **გამოყენება უნდა მოხდეს ინსტრუქციის სრული დაცვით!**

ცხოველების დამუშავება უნდა ჩატარდეს ვეტერინარი სპეციალისტის მიერ ან მისი ზედამხედველობით.

„სურსათის უვნებლობა ყველას გვეხება“ - ამ სლოგანით 7 ივნისს მსოფლიოში მეორედ აღინიშნა სურსათის უვნებლობის დღე.

სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღე 2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ დაწესდა. მისი მიზანია სურსათის უვნებლობის რისკების პრევენცია და მართვა.

აღნიშნული დღის დაწესება კიდევ ერთხელ ცხადყოფს სურსათის უვნებლობის მნიშვნელობას მსოფლიოსათვის, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ქვეყნის კეთილდღეობასთან, სოფლის მეურნეობასთან, ბიზნესთან, ტურიზმთან და, ზოგადად, ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

„ფერმიდან სუფრამდე“ - სურსათის უვნებლობის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ყველა რგოლის- სახელმწიფოს, მწარმოებლის და მომხმარებლის ჩართულობა და როლი უმნიშვნელოვანესია.

სურსათის ეროვნული სააგენტო უერთდება სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღეს, იზიარებს თანამედროვე მიდგომებსა და გამოწვევებს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი. გაიზარდა ბიზნესსექტორის ინფორმირებულობა. მომხმარებლთა ინტერესების დაცვის მიზნით, შემუშავდა ახალი რეგულაციები, რაც ხელს შეუწყობს სამომხმარებლო ბაზარზე ვითარების გაჯანსაღებასა და ქართული პროდუქციის კონკრეტუნარიანობის ზრდას.